პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვერვნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 25 თებერვალი № 47 (16784) ფასი 2 კაპ. 1977

25 თებერვალი საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეა



საბჭოთა საქართველოს დ ღ ე ს ა ს წ ა ულ ი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავს, 1921 წლის 25 თებერვალი ძირეული, ისტორიული გარდატეხის დღე იყო მრავალტანჯული ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს, „ქართულმა ოქტომბერმა“ ქართველ ხალხს, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალი ერის წარმომადგენლებს ჩეშმარიტი თავისუფლება, შემოქმედებითი შრომის სიხარული მოუტანა, სამშობლოს მძლავრი წინსვლისა და გაფურჩქვნის ნათელი პერსპექტივები დაუსახა. ამიტომ იქცა ეს დღე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის ეროვნული დღესასწაულის დღად, რომელსაც ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება ჩვენი ხალხი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღევანდელი დღე, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ყველა მოძმე რესპუბლიკის დღევანდელი დღე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურებაა. ამ პოლიტიკას თანამიმდევრულად და განუხრელად აჩორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო და არის თავისუფალი, სუვერენული რესპუბლიკების განვითარება, მათი ეროვნული კულტურისა და მშობლიურ ენის განვითარება და ამავე დროს ამ რესპუბლიკათა მტკიცე, ძმური კავშირის შექმნა, რესპუბლიკებისა, რომელთა ინტერნაციონალური ერთიანობა საბჭოთა ქვეყნის სწრაფი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის უმთავრესი ფაქტორია.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის საათზე უკვე ექვსი წელია საუკუნის მეორე ნახევარი დაიწყო. ეს არცთუ ისე დიდი დროა ქვეყნების, სახელმწიფოების ცხოვრებაში. მაგრამ ამ ხნის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა ხალხების ძმური ურთიერთდახმარებისა და მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლეს შეექმნათ მსხვილი ინდუსტრია, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ყოველმხრივ განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. მე არ შევუდგები ტრადიციულად იმის დეტალურ აღწერას, თუ რა ეტაპები გაიარა ამ 56 წელიწადში ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი განვითარების გზაზე, რადგან ამაზე ბევრი თქმულა და კიდევ უფრო ბევრი დაწერილა, და რაც მთავარია, დარბაზში მყოფთაგან უმრავლესობა თვითონ არის იმ გრანდიოზული გარდაქმნების მოწმეც და უშუალო მონაწილეც. აქ მთავარი ის არის, რომ საქართველოს მშრომელები, ღირსეული შთამომავლები იმ სახელოვანი წინაპრებისა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ აუო�ცელი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის ფასად მრავალრიცხოვანი მტრებისგან დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა. შეენარჩუნებინათ ეროვნული სახე, ენა, დღეს დიდ ძმურ ოჯახში გაერთიანებულნი სიამაყის გრძნობით აკვლებენ გონების თვალს განვლილ ნახევარ საუკუნეს და ძალ-ღონეს არ აშურებენ კიდევ უფრო უკეთესი მომავლის ასაშენებლად.

ამის ნათელი დადასტურებაა მეცხრე ხუთწლედი, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ყველა შრომელი ერთსულოვნად დაირაზმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო ხუთწლედის პირველი ორი წლის იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენათა დასაძლევად, რაც დროულად და საქმის ღრმა ცოდნით მზრალებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ძმერკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმის ფონზე მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები: პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, უ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების მოწინავენი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის შრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. თ. ლომუანიძემ.

ყოველ სერ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან წინადადებას სპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევის შესახებ.

მოხსენება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავის შესახებ გაკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა. მან ილაპარაკა იმ დიდ და სახელოვან გზაზე, რომელიც ქართველმა ხალხმა განვლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შესახებ, მეათე ხუთწლედის პირველი წლის შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებების, საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების შესახებ.

დიდია რესპუბლიკის მშრომელთა აღმავლობა, თქვა დასასრულ ამხ. პ. გ. გილაშვილმა. და დღეს ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში რესპუბლიკის წვლილის კიდევ უფრო გამრავლებისათვის.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. კვლავ ყოველ სერ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

• • •

საზეიმო სხდომის მონაწილეთა-თვის გაიმართა კონცერტი. (საინფორმაციო).

ბრძოლისა და აღმავლობის წლები

პ. გილაშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

დღეს ჩვენი რესპუბლიკის შრომელები ზეიმით აღნიშნავენ ქართველი ერის ტრადიციულ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავს. 1921 წლის 25 თებერვალი ძირეული, ისტორიული გარდატეხის დღე იყო მრავალტანჯული ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ დღეს, „ქართულმა ოქტომბერმა“ ქართველ ხალხს, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალი ერის წარმომადგენლებს ჩეშმარიტი თავისუფლება, შემოქმედებითი შრომის სიხარული მოუტანა, სამშობლოს მძლავრი წინსვლისა და გაფურჩქვნის ნათელი პერსპექტივები დაუსახა. ამიტომ იქცა ეს დღე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის ეროვნული დღესასწაულის დღად, რომელსაც ახალ-ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება ჩვენი ხალხი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღევანდელი დღე, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ყველა მოძმე რესპუბლიკის დღევანდელი დღე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურებაა. ამ პოლიტიკას თანამიმდევრულად და განუხრელად აჩორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო და არის თავისუფალი, სუვერენული რესპუბლიკების განვითარება, მათი ეროვნული კულტურისა და მშობლიურ ენის განვითარება და ამავე დროს ამ რესპუბლიკათა მტკიცე, ძმური კავშირის შექმნა, რესპუბლიკებისა, რომელთა ინტერნაციონალური ერთიანობა საბჭოთა ქვეყნის სწრაფი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის უმთავრესი ფაქტორია.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის საათზე უკვე ექვსი წელია საუკუნის მეორე ნახევარი დაიწყო. ეს არცთუ ისე დიდი დროა ქვეყნების, სახელმწიფოების ცხოვრებაში. მაგრამ ამ ხნის მანძილზე საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა ხალხების ძმური ურთიერთდახმარებისა და მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლეს შეექმნათ მსხვილი ინდუსტრია, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, ყოველმხრივ განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. მე არ შევუდგები ტრადიციულად იმის დეტალურ აღწერას, თუ რა ეტაპები გაიარა ამ 56 წელიწადში ჩვენმა რესპუბლიკამ თავისი განვითარების გზაზე, რადგან ამაზე ბევრი თქმულა და კიდევ უფრო ბევრი დაწერილა, და რაც მთავარია, დარბაზში მყოფთაგან უმრავლესობა თვითონ არის იმ გრანდიოზული გარდაქმნების მოწმეც და უშუალო მონაწილეც. აქ მთავარი ის არის, რომ საქართველოს მშრომელები, ღირსეული შთამომავლები იმ სახელოვანი წინაპრებისა, რომლებიც იძულებულნი იყვნენ აუოراცცელი მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის ფასად მრავალრიცხოვანი მტრებისგან დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა. შეენარჩუნებინათ ეროვნული სახე, ენა, დღეს დიდ ძმურ ოჯახში გაერთიანებულნი სიამაყის გრძნობით აკვლებენ გონების თვალს განვლილ ნახევარ საუკუნეს და ძალ-ღონეს არ აშურებენ კიდევ უფრო უკეთესი მომავლის ასაშენებლად.

ამის ნათელი დადასტურებაა მეცხრე ხუთწლედი, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ყველა შრომელი ერთსულოვნად დაირაზმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო ხუთწლედის პირველი ორი წლის იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენათა დასაძლევად, რაც დროულად და საქმის ღრმა ცოდნით მზრალებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის გაზრდის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციები მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მათი დარაზმვისათვის ხაქმიანობაში პრესასთან, ტელევიზიასთან, რადიოსთან, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემასთან, სალექციო პროპაგანდასთან ერთად ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფორმის ზეპირ აგიტაციას.

მასებში პარტიის სიტყვა შეაქვს დიდ რაზმს — ესენი არიან აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, მომხსენებლები — წარმოების მოწინავეები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, ხელმძღვანელი კადრები. ისინი ეხმარებიან მშრომელებს, რომ საფუძვლიანად ითვისონ სკკპ XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე მისი სიტყვის დებულებები და დასკვნები, უფრო სრულად განმარტონ შრომითი კოლექტივების მეათე ხუთწლედის ამოცანები, ამ ამოცანების გადასაწყვეტად თვითეული ადამიანის პირადი წვლილი.

პარტიული ორგანიზაციები, ეყრდნობიან რა პარტიის მიერ შემუშავებულ ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის ტრადიციებს, ახალ, ხულ უფრო ეფექტიან ფორმებსა და მეთოდებს პოულობენ. ფართოდ გავრცელდა კითხვა-პასუხის საღამოები, მოსახლეობის წინაშე მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების ხელმძღვანელი მუშაკების ყოველთვიური ერთდროული გამოსვლები, ადგილებზე საინფორმაციო-პროპაგანდისტული ჯგუფებისა და აგიტბრიგადების ჩასვლა, მოქალაქეთა მიტინგები, კრებები და შეკრებები, ზეპირი ურნალები, შრომითი დიდების, მოსავლის დღესასწაულები, შეჯიბრების გამარჯვებულებთან შეხვედრები, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა, პარტიის ვეტერანებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან შეხვედრები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებთან წარმატებით მუშაობენ მომხსენებელთა ჯგუფები, რომლებსაც ხშირად პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები მეთაურობენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების განმარტებაში კარგი სახელი მოიპოვეს პოლიტინფორმატორთა ჯგუფებმა. ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების, პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის ქმედითი ფორმა გახდა დამრიგებლობა.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიული კომიტეტები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ ზეპირი აგიტაციის შესაძლებლობებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, შრომითი კოლექტივების ამოცანების განმარტებისათვის, მახების შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის.

აგიტმასობრივი მუშაობის შინაარსსა და ორგანიზაციაში ყოველთვის ჯეროვნად ვერ ითვალისწინებენ ადამიანთა განათლებისა და კულტურის დონეს, მათ ინფორმირებას პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. საუბრები, პოლიტიკური ინფორმაციები, მოხსენებები არცთუ იშვიათად საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა შესახებ ლაპარაკით ამოიწურება, ისინი პასუხს არ სცემენ შრომელებისათვის საინტერესო საკითხებს, ვერ ხულიან ადგილობრივი ცხოვრების, ზნეობრივი აღზრდის საჭირბოროტო პრობლემებს, არ ამახვილებენ ყურადღებას არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე. ხდება ხოლმე, რომ პარტიული ორგანიზაციები, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა რაოდენობას გამოდევნიენულნი, ან საშუშის ხუსტად მომზადებულ ამხანაგებს ანდობენ, რეგულარულ ინსტრუქციას არ უწევენ თავიანთ საგიტაციო აქტივს, ვერ უზრუნველყოფენ მას საჭირო ორიენტირებით, საცნობარო მასალებით, მეთოდიკური რეკომენდაციებით, არ უსახავენ მათ მოცემული კოლექტივის, ქალაქის, რაიონის კონკრეტულ, აქტუალურ ამოცანებს. ცალკეულ საწარმოებში აგიტკოლექტივები საერთოდ არა ჰყავთ.

ბევრი პარტიული კომიტეტი ვერ უზრუნველყოფს მომხსენებელთა ჯგუფების გეგმაშოირ მუშაობას, ჯეროვან მომთხოვნელობას არ იჩენს იმ კომუნისტებისადმი, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებისადმი, ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც განზე გაუდგნენ აღზრდელობითს მუშაობას. მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში აგიტმასობრივ მუშაობას რეგულარული ხასიათი არა აქვს და უპირატესად საარჩევნო კამპანიების პერიოდში ეწყობა ხოლმე. სუსტად იყენებენ ზეპირი აგიტაციის არხებს საზოგადოებრივი აზრის. ადამიანთა განწყობილებისა და მოთხოვნილებების შესწავლისათვის, მათ წინაშე წამოჭრილ საკითხებზე ოპერატიული რეაგირებისათვის.

ეს ნაკლოვანებები გარკვეულწილად ამის შედეგია, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეასუსტა ყურადღება ზეპირი აგიტაციისადმი, და იმ ნცდარ აზრს ასახავს, თითქოს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ფართო სისტემის პირობებში მისი მნიშვნელობა შემცირებულიაოს. ყოველნაირად უნდა სრულვყოთ ზეპირი აგიტაცია, რათა კიდევ უფრო გავაძლიეროთ მასებში პარტორგანიზაციების პოლიტიკური მუშაობის ქმედითობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა განაზორციელონ ღონისძიებები, რათა აამაღლონ ზეპირი აგიტაციის როლი საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის ადამიანების დარაზმვაში.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ზეპირი აგიტაცია კვლავინდებურად პარტიული საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი სფეროა, მახებთან პარტიის მუდმივი კავშირის, პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მათი შეკავშირების ერთ-ერთი აქტიური ფორმაა, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქმედითი ინსტრუმენტია. მას საფუძვლად უდგეს ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობა და ხაშუალებას იძლევა კონკრეტული, ნათელი, ადამიანებისათვის ახლობელი და გასაგები ფაქტებისა და მაგალითების მიხედვით კუჩვენოთ კომუნისტური მშენებლობის წარმატებები, განვმარტოთ პარტიის პოლიტიკა, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადწყვეტილებები, საგნობრივი გავლენა მოვახდინოთ შეჯიბრების განვითარებაზე, მშრომელთა საწარმოო და საზოგადოებრივი აქტიურობის აძალლებაზე, შევასწავლოთ მასების განწყობილება და დროული რეაგირება მოვახდენოთ მასზე, გულახლილად ვესაუბროთ აუდიტორიას ნაკლოვანებებზე, სიძნელეებსა და მათი დაძლევის გზებზე, თვითეულ ადამიანს გავაცნოთ პარტიის სიტყვა. პოლიტიკური აგიტაციის შემდგომი განვითარების, სრულყოფის საჭიროება ნაკარნახევია კომუნისტური აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომის ამოცანით, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა.

პოლიტიკური აგიტაცია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნისტური რწმენის, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ხაშუალებად უნდა მივიჩნიოთ. უნდა ვიღვწოდეთ იმისათვის, რომ სააგიტაციო-მასობრივი ღონისძიებები უზრუნველყოფდეს მიმდინარე მოვლენების და მშრომელთა ეროვნულ წამოჭრილი ხასუბების დროულ, კვალიფიცირებულ განმარტებას, ნამდვილად დაინტერესოს ადამიანები, წაახალისოს მათი შემოქმედებითი ენერგია, ჩაუნერგოს შრომის ნაყოფიერების, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების სურვილი. აქტივისტმა აგიტატორებმა პარტიული სიტყვით, შრომითი და ზნეობრივი მაგალითით უნდა ჩაუნერგონ ადამიანებს შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ამასთანავე მათ უდისციპლინობის, ლოთობის, ხულგანობის, სახალხო დოვლათის დატაცების, წაბლეკავობის, მომხვეჭელობის, ბილწსიტყვაობისა და სხვა ნეგატიური მოვლენების კეთილგვარი გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება უნდა შექმნან, დასაბუთებულად ამხილონ ბურუჟაზიული პროპაგანდის ცილისმწამებლური მონაჩმახი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ სრულყონ ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის ძირითადი რგოლები.

საჭიროდ არის მიჩნეული სერიოზულად გააუმჯობესონ იმ აგიტკოლექტივების საქმიანობა, რომლებიც პირველად და საამჩრო პარტორგანიზაციებში იქმნება. უზრუნველყონ მათი მუშაობის მაღალი ხარისხი, არ გამოდიოდნონ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აგიტატორებად უწინარეს ყოვლისა უნდა ამაკიცებდნენ კომუნისტებს, ალრეთვე ყველაზე ავტორიტეტად უპარტიო აქტივისტებს. უფრო ფართოდ უნდა ჩავაბათ ავიტკოლექტივებში ოსტატები, ბრიგადირები და საშუალო რგოლის სხვა ხელმძღვანელები, რომლებსაც შეიძლება ვანდოთ ეს დიდმნიშვნელოვანი პარტიული დავალება.

უნდა განვამტკიცოთ პოლიტინფორმატორების შემადგენლობა გამოცდილი, თეორიულად მომზადებული აქტივისტების ხარჯზე, რომლებსაც შეუძლიათ კვალიფიციურად განმარტონ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცხოვრებისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, კომუნისტური მორალის, ხაბჭოთა ცხოვრების წესის პრინციპები და ნორმები. დადგენილება იწონებს პარტიულ კომიტეტებში, აგრეთვე იმ პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროებში პოლიტინფორმატორთა ჯგუფების შექმნის პრაქტიკას, სადაც ამისათვის ჰყავთ შესაბამისი კადრები.

(დასასრული მე-2 გვ.).

„სალუტ-5“ ორგბიტული სამეცნიერო სადგურის ეკიპაჟს. კოსმონავტებს ამხანაგებს ვიქტორ ვასილის-ძე გორბატკოს, იური ნიკოლოზის-ძე გლაზკოვს

ძვირფასნო ამხანაგებო! თქვენი დეპეშა მივიღე, გულითადად გმადლობთ მოლოცვისათვის. მე და ჩემი კოლეგები ყურადღებით ვადევნებთ თვალს თქვენს კოსმოსურ ფრენას. მოხარული ვარო, რომ მთლიანად შეასრულეთ „სალუტ-5“ სადგურში კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა. გისურვებთ ფრენის წარმატებით დამთავრებას და მშობლიურ დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნებას.

ლ. ბრეჟნევი.

შესანიშნავი თაოსნობა

მექურეებს ვ. ნაუმკინს, გ. ჩერნიაევს, ი. ტერეშჩენკოს, ნ. ხოლდატოვს, მეიარეებს ა. სპირიდონენკოს, გ. კურდიუმოვს, ნ. პოდტურკინს, ვ. დობრონჩენკოს, ოსტატებს ნ. კოჩეტკოვს, ა. გუტოროვს, ი. შევჩენკოს, ვ. გრიშჩენკოს, საამქროს უფროსებს ნ. კრიუკოვს, ვ. ხოლოდკოვს, ა. ვასიუჩენკოს, პ. ნეტრებკოს, მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის, ჩერეპოვეცის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, დნეპროპეტროვსკის გ. ი. პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საბრძოლო საამქროებისა და კრივოი როგის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეცხრე ბრძმედის ყველა კოლექტივს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი კმაყოფილებით გავეცანი თქვენს შრომითს მიღწევებს მეათე ხუთწლედის პირველ წელს. ეს წარმატებები ცხადყოფენ, თუ რა შესანიშნავი რეზერვები აქვს ყოველ კოლექტივს, რომელიც მეტალურგიული წარმოების მოწინავე მეთოდებს არის დაუფლებული.

ძალიან კარგია, რომ თქვენმა კოლექტივებმა გადაწყვეტეს არ დასჯერდნენ მიღწეულ შედეგებს. ის ამბავი, რომ თქვენ გადიდებული ვალდებულებანი მიიღეთ და იკისრეთ გეგმის დამატებით გამოადნოთ 1977 წელს 230 ათას ტონაზე მეტი თუჯი, გაზარდოთ შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, დაზოგოთ ნედლეული, მასალა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, მოწმობს, რომ თქვენ შემოქმედებითად უდგებით იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ გამოიტანა სახლობა მეურნეობის შემდგომი განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ. ამ ვალდებულებათა შესრულება წვლილს შეიტანს შავი მეტალურგიის მუშაკთა მიერ ლითონის გამოშვების ზრდის დაგალებათა განხორციელებას, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების უფრო სრულ დაკმაყოფილებას მაღალხარისხოვანი ლითონპროდუქციით.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს შესანიშნავ ინიციატივას მზარს დაუჭერენ სხვა საბრძმედე საამქროების, დარგის ყველა საწარმოს კოლექტივები, და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს ქვეყნის მეტალურგები ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდი წარმატებანი მოგეპოვებინოთ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

ლ. ბრეჟნევი.

„სალუტ-5“: ფრენა პროგრამის მიხედვით

ფრენის მართვის ცენტრი. 24 თებერვალი. (საკადრო). გრძელდება „სალუტ-5“ სამეცნიერო სადგურის ფრენა. ამუამად სადგურის ორბიტის პარამეტრებია: მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 269 კილომეტრი, მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 248 კილომეტრი, ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი, მიმოქცევის პერიოდი — 89,5 წუთი.

სამეცნიერო კონტროლის მონაცემებისა და სადგურიდან მიღებული მოხსენებების შესაბამისად ეკიპაჟი ჯანმრთელად არის და თავს კარგად გრძნობს.

სადგურისა და ხატრანსპორტო ხომალდის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ 1977 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

I. მეცნიერების დარგში

1. **ბუიშვილს ლევან ლავრენტის-ძეს** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; 2. **ხუციშვილს გივი რაჟდენის-ძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს — შრომების ციკლისათვის: **„ბირთვული რელაქსაცია და დინამიკური პოლარიზაცია და მაგნიტური რეზონანსის გაჯერება მყარ სხეულებში“**, 1954-1975 წლები.

2. **ფიფიას ეგნატე კალისტრატეს-ძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს; **თენდია აპაკი ვლადიმერის-ძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის კათედრის პროფესორს — შრომების ციკლისათვის: **„კუჭის პათოლოგიის პრობლემები“**, 1956-1975 წლები.

3. **ბერიტაშვილს ივანე სოლომონის-ძეს** — მონოგრაფიისათვის **„ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა“** (გამომცემლობა „ნაუკა“, 1974 წელი) — სიკვდილის შემდეგ.

4. **წერეთელს სავლე გენედიქტეს-ძეს** — მონოგრაფიისათვის **„დიალექტიკური ლოგიკა“** (გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965 წელი, 1971 წელი) — სიკვდილის შემდეგ.

II. ტექნიკის დარგში

1. **პაპავას გრიგოლ ივანეს-ძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელოსნოს გამგეს; **პაპავას ვახტანგ გრიგოლის-ძეს** — ამავე ინსტიტუტის ელექტრომემდუღებელს — **1956-1972 წლებში ვაზის მყნობის პროცესების კომპლექსური მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შემუშავება-შექმნისათვის, მისი ტექნოლოგიური პროცესების გამოკვლევისა და წარმოებაში დანერგვისათვის.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

საჭიროა ყოველნაირად განვავითაროთ მშრომელთა პოლიტიკურ აზროვნებაში ხელმძღვანელი კადრების მუდმივი და სავალდებულო მონაწილეობის ლენინური კანონზომიერება და ამ მიზნით გამოვიყენოთ მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, საქმიანობა უნდა გააქტიურონ პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მომხსენებლთა ჯგუფებმა, უნდა უზრუნველყოთ ხელმძღვანელთა რეგიონალური გამოსვლები მოსახლეობის წინაშე იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობენ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, რომელსაც ისინი მეთაურობენ.

უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ადამიანებთან პირადი კონტაქტების შესაძლებლობანი საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად და ჩამოსაყალიბებლად. სისტემატურად განვაზოგადოთ და გავაანალიზოთ აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, მომხსენებლებისათვის გამოგზავნილი შეკითხვები. წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები ოპერატიულად გამოიხმაუროთ მათ გავაცნოთ მშრომელებს მათ გამო მიღებული პრაქტიკული ღონისძიებები. პარტიულ კომიტეტებს რეკომენდაცია იძლევათ ზემოთ აგიტაციის ორგანიზაციასა და შინაარსში გათვალისწინონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ქვეყნის რაიონებში ადამიანთა შრომითი საქმიანობის სპეციფიკა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგიტმასობრივი მუშაობის დაყენებას დაშორებულ ადგილებში, სოფლებ არ არის ტელევიზია, ახლად შექმნილ კოლექტივებში, დარეკებში, სადაც ქალის შრომა ჭარბობს, მომსახურების სფეროში. სვეელ ბანაკებსა და მეცხოველეობის ფერმებში. შემადგენლობით მცირერიცხოვან კოლექტივებში, ინდივიდუალურ მუშაობას ადამიანებთან, უწინარეს ყოველისა ახალგაზრდობასთან.

აღნიშნულია, რომ საჭიროა გეგმაზომიერი და სისტემატური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას, უწინარეს ყოველისა მის იმ ფენებში, რომლებიც დაკავშირებული არ არიან შრომითს კოლექტივებთან, და საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ ახალგაზრდობაში. ამ მიზნით უკეთ უნდა გამოვიყენოთ კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, სკოლები, წითელი კუთხეები, დაწესებულებათა საკმაო დარბაზები, უნდა. გავაფართოოთ საზაფხულო აგიტმოედნების ქსელი. საგაგიტაციო მუშაობა აქტიურად უნდა შეეუხამოთ კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელებას. მიკრორაიონების საზოგადოებრივ საბჭოებთან მიზანშეწონილია შეიქმნას კონსულტანტ-აქტივისტთა ჯგუფები, რომლებმაც მშრომელებს უნდა განუმარტონ მათ წინაშე წამოჭრილი საკითხები, ფართოდ ჩავებათ ამ მუშაობაში პედაგოგები, იურისტები, ექიმები კულტურის მუშაკები და სხვა სპეციალისტები.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. პარტიის სამხარეო. საოლქო. საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ განახორციელონ ღონისძიებები აგიტატორების, პოლიტინფორმატორებისა და მომხსენებლების ოპერატიული ინსტრუქტირების. თეორიული და მეთოდიკურ მომზადების გასაუმჯობესებლად.

პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან რეგულარულად შეიმუშაონ საუბრების. პოლიტიკურ-მასობრივი, მოხსენებების სანიმუშო თემატიკა. შეუთანხმონ იგი პრესის, ტელევიზიის. რადიოს გამოსვლებს. სალექციო. პროპაგანდის. დაუგზავნონ პარტიულ ორგანიზაციებს აქტუალურ საკითხებზე საორიენტაციო და სხვა მასალები პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტების დასახმარებლად.

პარტკომებმა და პარტიულმა ბიუროებმა უნოა უზრუნველყონ აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორების კონკრეტული. საქმიანი ინსტრუქტირება. ჩაბან ამ საქმეში ავტორიტეტული ლექტორები. პარტიული. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები. დადგენილება მხარს უჭერს პარტიული ორგანიზაციების ინიციატივას, რომ საწარმოებში და მშენებლობებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შეიქმნას საცნობარო-საინფორმაციო ცენტრები.

უყურადღება მიეპყრო იმას. რომ აგიტატორები. პოლიტინფორმატორები და მომხსენებლები ზეიმეტად არ დატვირთონ სხვა საზოგადოებრივი დავალებებით, წაახალისონ ისინი აქტიური მუშაობისათვის.

აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს მოსამზადებლად უთრო ფართოდ იქნება გამოყენებული მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემა პოლიტინფორმატორთა სკოლები და სრულინარები პარტიული სწავლების შემადგენელ ნაწილად გადაიქცევა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. სადაც აგიტატორები მეცადინეობენ, გათვალისწინებულია საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის თეორიისა და მეთოდიკის საკითხების შესწავლა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან. დიდ პარტიულ კომიტეტებთან უნდა შეიქმნას აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა მუდმივმოქმედი სემინარები. ამ რგოლებისათვის შემლუმაღებული იქნება სპეციალური რეკომენდაციები, პროგრამები და სასწავლო გეგმები. აღნიშნულია აგრეთვე. რომ უმაღლესი პარტიული სკოლის, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების, პარტიული აქტივის სკოლების პარტიული მშენებლობის კურსის სასწავლო გეგმებში გაფართოვდეს პოლიტიკური აგიტაციის პრობლემების შესწავლა.

პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს დაეკვალათ აგიტატორებისა და პოლიტინფორმატორებისათვის მეთოდიკური დახმარების ორგანიზაცია, მათთვის საცნობარო-საინფორმაციო მასალების. საგაგიტაციო მუშაობაში ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინო სახელმძღვანელოების გამოყენების რეკომენდაციების მომზადება. გამოცდილების განზოგადება. სახლებსა და კაბინეტებში უნდა შეიქმნას აგიტმასობრივი მუშაობის საკითხთა მეთოდიკური საბჭოები.

განსაზღვრულია ფურნალ „აგიტატორის“, პოლიტიკური აგიტაციის საკითხებზე გამომავალი რესპუბლიკური ფურნალების. სამხარეო და საოლქო „აგიტატორის ბლოკნოტების“ ამოცანები აგიტატორებისათვის. პოლიტინფორმატორებისათვის. მომხსენებლებისათვის მათი სპეციფიკისა და ფუნქციების შეხამებისად სისტემატური კვალიფიკაციური დახმარების უზრუნველყოფის საქმეში. ეს გამოცემები რეგულარულად უნდა აქვეყნებდნენ ზეპირი გამოსვლების სანიმუშო თემატიკას. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე საუბრების მეთოდიკურ მითითებებს. სხვა საინსტრუქციო და საინფორმაციო მასალებს. რომლებშიც მოცემული უნდა იყოს არგუმენტაცია. საინტერესო ფაქტები. ციფრები, მაგალითები. შედარებები. აგრეთვე ფორო ხოლოდ უნდა გვიჩვენებდნენ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის გამოცდილებას.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციები უფრო ფართოდ უნდა აშუქებდნენ საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს. ზეპირი აგიტაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკას. პოლიტგამომცემლობას დაევალა გამოუშვას ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის სასწავლო სახელმძღვანელოები, აგიტატორს ბიბლიოთეკები. წიგნები და ბროშურები, რომლებშიც განზოგადებული იქნება გამოცდილება. ნაჩვენები იქნება აგიტმასობრივი მუშაობის მეთოდიკა. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიას წინადადება მიეცა მეცნიერული ცოდნის გეგმებში გაითვალისწინოს თანამედროვე პირობებში პოლიტიკური აგიტაციის თეორიული და მეთოდიკური პრობლემების დამუშავება.

ბრძოლისა და ერთიანობის ალმავლობისა

(დასასრული)

მეათე ხუთწლედის პირველი წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. იგი შეეხვა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში როგორც პარტიის XXV ყრილობის ნათელი ნიშანსვეტი, როგორც საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის წელი, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე გამარჯვებების წელი: პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ფართოთავანებულმა საბჭოთა მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი, გაიზარდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. ამ საერთო-სახელმწიფოებრივ წარმატებებში თავისი ღირსეული წილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა.

მაგრამ წარმატებთან განსხვავებულდა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე დასახული ამოცანის გადაწყვეტის—მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო ჩამორჩენის დაძლევის — პირველი ეტაპი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 1 მილიარდ 85 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაც თითქმის 15 მილიონი მანეთით აღემატება გეგმას და 9 მილიონი მანეთით — 1975 წლის დონეს. ამასთან, ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპმა 1975 წელს 4 პროცენტის ნაცვლად დაახლოებით 26 პროცენტი შეადგინა.

ბარაბინ წარმატებებთან განსხვავებულად ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების აღსანიშნავად 8 მოძმე რესპუბლიკასთან ერთად საქართველოც დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. გარდა ამისა ასეთივე დროშებით ჩვენი რესპუბლიკიდან დაჯილდოდნენ აჭარის ასს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი. აბაშის, გორისა და ზუგდიდის რაიონები, 15 საწარმო და გაერთიანება, 8 კოლმეურნეობა და 3 საბჭოთა მეურნეობა.

შემოქმედებითი ძალების აყვავების დროშით დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ მეათე ხუთწლედის მეორე წელი, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წელი. ჩვენი ხალხების ძლევამოსილი წინსვლის წელი, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით გმირული ბრძოლის კიდევ ერთი წელი კომუნიზმის აშენებისა და გამარჯვების ნათელ გზაზე. საიუბილეო წელი მთელი ჩვენი ხალხების მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის წელია. საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის, მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის, და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის, მშვიდობიანი ცხოვრების იბრძვის მშობლიური კომუნისტური პარტია, რომელიც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად ასრულებს 59 წლისწინანდელ ლენინურ მოწოდებას „მშვიდობა ხალხებს!“.

მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ და ნაყოფიერ საქმიანობას მშვიდობის განტკიცებისათვის. საბჭოთა ადამიანებს ესმით, რომ სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას ისინი განამტკიცებენ თავიანთი მრომით, და ამიტომ კვლავაც მზად არიან ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისა და პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

რესპუბლიკის მშრომელების წინაშეც დიდი ამოცანებია დასახული მიმდინარე ხუთწლედის მეორე წელს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო წელს. აი ზოგიერთი მრავალსმთქმელი ციფრი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული 1977 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიდან და ბიუჯეტიდან: მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობამ უნდა მიაღწიოს 6,7 მილიარდ მანეთს და წლიურ გეგმას 400 მილიონი მანეთით გადააჭარბოს. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციამ უნდა მოგვცეს 4,27 მილიონი მანეთი მოგება, რაც 57 მილიონი მანეთით მეტი იქნება შარშანდელთან შედარებით. ზრდას ძირითადად განაპირობებს წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გაღიდება, თვითღირებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხის გადიდება და სხვ.

წლეულს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი მოცულობის ზრდა შეადგენს 4,8 პროცენტს, რაც 0,4 პროცენტით მეტი იქნება ხუთწლედისათვის განსაზღვრულ საშუალო-წლიური მატების ტემპზე. საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 13 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები: საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება წმინდა პროდუქტზე გადაანგარიშებით გაიზრდება 6,7 პროცენტით, ხოლო ეროვნული შემოსავალი— 5,6 პროცენტით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს, რისთვისაც გამოყოფილია ერთი მილიარდ ერთი მილიონი მანეთი, ანუ 6,4 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან. მოსახლეობის რეალური შემოსავალი გაიზრდება 5,2 პროცენტით. მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მეურნეობათა ხაზით გათვალისწინებულია 809 ათასი კვ. მ. ფართობის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, რაც 160 ათას ოჯახს გაუუმჯობესებს სახლით პირობებს.

პარტიის საშინაო პოლიტიკის ძირითადი დევიზია „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“. ამ დევიზით მიმდინარეობდა ამ ცოტა ხნის წინ გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი, რომელშაც განიხილა რესპუბლიკის ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, მეცხოველეობის განვითარების ფრიად აქტუალური საკითხები. პლენუმმა ამხილა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს ამ დარგებში და დასახა მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები. ეკონომიკა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება და სრულყოფა პარტიას მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მისი მატერიალური და ოჯრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიაჩნია. ამიტომ იყო, რომ ამ დარგების მუშაობის პარტიის XXV ყრილობაზე ასე მიმართა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა: „თქვენზე, თქვენს გარჯაზე ბევრად იყოს დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაც და გუნება-განწყობილებაც. გახსოვდეთ ეს. იმუშავეთ უკეთ და უფრო ინიციატივიანად. მიბაძეთ მოწინავეებს. ამისათვის მოგიწოდებთ თქვენ, ამას მოელს თქვენგან პარტია“.

ყველგან და ყველაფერში ხარისხისა და ეფექტიანობისათვის ბრძოლა, მასების აქტიურობა წარმოების რეზერვების გამოვლენისა და უკეთ გამოყენებისათვის, ნაკლები დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მოპოვება — ეს გახლავთ პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი არსი, ეს უნდა გახდეს თვითეული მშრომელისათვის ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

წინ დიდი და ფრიად პასუხსაგები საქმიანობა მოგველის. პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს საბრძოლო პროგრამა დაუსახა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმმა. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზი წარმოთქმულ სიტყვაში მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საკვანძო პრობლემები და ჩვენი საქმიანობის გადამწყვეტი უბნები, რომლებიც ძალთა განსაკუთრებულ კონცენტრაციას და მთიანი ყურადღებას მოითხოვს. დღეს, როდესაც წინა პლანზეა ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის, ახლებურად უნდა მივუდგეთ წარმოების მართვას, უფრო კონიერულად გამოვიყენოთ საწარმო ფონდები. ეკონომიკური სტიმულები და ბერკეტები, შინაგანი რეზერვები, რადგან ჩვენი ქვეყნის მეურნეობის თანამედროვე, გრანდიოზული მასშტაბების პირობებში ფონდუკუნგების გაზრდა ერთ მანეთზე ერთი კაპიკით 3 მილიარდ მანეთზე მეტ დამატებით პროდუქციას მოგვცემს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ერთი პროცენტით გადიდება 5 მილიარდი მანეთის ღირებულების პროდუქციის გამოშვებას უდრის. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ შეურიგებელნი უნდა ვიყოთ ისეთი ნაკლოვანებების მიმართ, როგორიც არის სამუშაო დროის დანაკარგები და მოცდენები, შრომის სუსტი დისციპლინა, არარაციონალური მუშაობა. იმ დიდ ღონისძიებებში, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს, განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას; ეს კარგად ესმით ჩვენს მშრომელებს, რომლებმაც აქტიურად და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდესი ყურადღება, მზრუნველობა და დახმარება ჩვენი რესპუბლიკის მიმართ. ამ ყურადღებისა და ზრუნვის გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“, რომელშიც მოწონებულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ უკანასკნელ წლებში გაწეული დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო მეცხრე ხუთწლიანი გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, წარსულში დაშვებული შეცდომების აღმოფხვრას, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას და, საერთოდ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებას.

ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ქვეყანა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის იმზადება, განსაკუთრებით იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია. ისინი აქტიურად გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“. მოწოდებას, რომ „ხორცი შევასხათ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედი, უზრუნველვყოთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი, ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, განუხრელად ვაუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ავამაღლოთ მისი კულტურული დონე“.

ღელს, როდესაც ჩვენ სახეიმო ვითარებაში აღნიშნავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავს, სწორეი რომ უპრიანია ორიოდე სიტყვა ითქვას საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე მასობრივ და ძირეულ ორგანოებზე — ადგილობრივ საბჭოებზე, რომელთა როლი და ავტორიტეტი პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად ამაღლდა.

იმ დიდ და დაძაბულ შრომაში, რომელიც მიზნად ისახავს პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებას, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების გარდა დიდი როლი უნდა შეასრულონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, რომელთა მთელი საქმიანობა. როგორც სახალხო ხელისუფლების ყველაზე მასობრივი ორგანოებისა, ხალხის ნებასა და ინტერესებს გამოხატავს. ადგილობრივ საბჭოებს ეფექტიანი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუ ისინი მშრომელთა ფართო აქტივს და მოსახლეობასთან ყოველდღიურ კავშირს დაეყრდნობიან. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც საბჭოები და მათი აღმასკომები მთლიანად და ეფექტიანად არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, სათანადო სიმაღლეზე არ დგას დეპუტატების, მუდმივი კომისიების აქტიურობა, აღმასკომები ნაკლებად აკონტროლებენ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციების მუშაობას, ნაკლები გულისყურით ეკიდებიან მშრომელთა საჩივრებსა და განცხადებებს, არცთუ ისე იშვიათია ბიუროკრატიზმის გამოვლინებები, ჯერ კიდევ ყველა საბჭომ ვერ შეძლო მუშაობის გარდაქმნა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად და სხვ.

მიმდინარე წლის შედეგები, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში ოქტომბრის პლენუმზე, გვიჩვენებს, რომ წინსვლა უფრო სწრაფად შეგვიძლია, ვიდრე ეს გეგმით გვქონდა გათვალისწინებული. იმისათვის, რომ შეგქმნათ კარგი გარანტია მთლიანად ხუთწლედის შესასრულებლად, საჭიროა 1977 წელსაც გადავაჭარბოთ საგეგმო მონახაზებს. ეს უნდა გავაკეთოთ უპირველეს ყოვლისა ყველა რგოლში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე.

საბჭოთა ხალხის მისწრაფება წინსვლისადმი, მისი ერთსულოვნება და საერთო გრძნობები შესანიშნავად გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის 70-ე წლისთავის იუბილეზე, რომლის ტიტანურ და ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა ადამიანები ქანონიერად უკავიარებენ ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ყველა ღამავრეს მოვლენას უკანასკნელი 12 წლის განმლზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 31 იანვრის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ ნათქვამია:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდება ლენინური პარტიის გარშემო სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში, დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის დღესასწაულს შეხვდება სახელოვანი შრომითი გამარჯვებებით“.

ეჭვი არ არის, რომ 56 წლის საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელი ღირსეულად გამოეხმაურება ჩვენი პარტიის ამ მოწოდებასაც და ჩვეული შემართებით, შრომითი ენთუზიაზმით, ახალი წარმატებებით შეეგებება ჩვენი სახელმწიფოს ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებისათვის უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევების გამო საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება და საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო პრემიები უთვალსაჩინოესი შრომითი მიღწევების გამო მიენიჭოთ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს:

1. **კურტანიძეს გიორგი ნიკოლოზის-ძეს** — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მექანიკოსი ბრიგადირს; **ლომიძეს ოთარ ალექსანდრეს-ძეს** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეს;

ქართველიშვილს ტრისტან ილიას-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილისქალაქმშენის“ № 10 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ზლობინელთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს; **მოსესოვს დიმიტრი ნიკოლოზის-ძეს** — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალს;

2. **ჩაბალუხას ჯუმბერ ვლადიმერის-ძეს** —ზუგდიდის რაიონის სოფელ ონარიის საბჭოთა მეურნეობის ჩაის საკრეფი მანქანის მძღოლ-მექანიკოსს; **ბიჭინაშვილს თეიმურ გიორგის-ძეს** — თიანეთის სატყეო მეურნეობის მექანიზატორს; **გუგლიას ტატიანა გერასიმეს ასულს** — ქალაქ გაგრის ლიმონის კოლმეურნეობის მეთამბაქოეს; **იაკობიშვილს თენგიზ გიორგის-ძეს** — წრთელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტ-კომბაინერს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ 1977 წლის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება და საქართველოს სსრ 1977 წლის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

მუსიკის დარგში:

კახიძეს ჯანსუღ ივანეს-ძეს — 1975-1976 წლებში ნაყოფიერი სადირიჟორო მოღვაწეობისათვის.

სახვითი ხელოვნების დარგში:

სანაძეს კორნელი ბარნაბის-ძეს — 1975-1976 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის (საზოგადო მოღვაწეთა, მუშათა და კოლმეურნეთა ფერწერული პორტრეტების, პეიზაჟებისა და გრაფიკული ნამუშევრების სერიები).

თეატრალური ხელოვნების დარგში:

სალარაძეს გურამ გიორგის-ძეს — მხატვრული კითხვისა და ქართული პოეზიის პოპულარიზაციის საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის (1975-1976 . წლებში ჩატარებული მხატვრული კითხვის პერსონალური პროგრამა-კონცერტი).

საბავშვო ლიტერატურის დარგში:

ინანიშვილს რევაზ კონსტანტინეს-ძეს — 1975-1976 წლებში შექმნილი საბავშვო მოთხრობებისათვის, რომლებიც შესულია წიგნში — „შორი თეთრი მწვერვალი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1976 წელი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის მდივანი ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე

ლომსაგურების კულტურის ამაღლებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურმა სახლმა, ახორციელებს რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის დადგენილებას, მოსახლეობის საოჯახო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოაწყო ცეკავშირის სისტემის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტების ორდღიანი თათბირ-სემინარი. იგი მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის პროპაგანდისტთა სემინარი

□

იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემებს.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ ნ. კომახიძემ. მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ უმნიშვნელოვანესი იდეურ-თეორიული და პოლიტიკური დოკუმენტია“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ გ. ბედინიეშვილმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების დარგში რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ციკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა. „ვაჭრობის მუშაკის პიროვნების, მისი მსოფლმხედველობისა და იერ-სახის ჩამოყალიბება პროპაგანდისტის საზრუნავია“ — ამ თემაზე ისაუბრა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ქარუმიძემ. მოხსენება „პროპაგანდისტული მუშაობის სრულყოფის ფორმები და მეთოდები“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის ლენინიზმის კათედრის ასოცირებულ პროფესორმა ბ. ერემეევმ. „ეკონომიკური ინტერესების ადეკვატურობა — ეფექტიანი პროპაგანდისტული ზემოქმედების ერთ-ერთი ფუძე“ — ამ თემაზე ისაუბრა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გოცირიძემ. თემაზე — „სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მიმდინარე საერთო-სახალხო ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცე გარანტიაა“ — ილაპარაკა თ

ოქტომბერი ჩვენს ცხოვრებაში

ვალმოხდილი ოჯახის სითბო

ᲐᲛᲘᲡᲙᲝᲕᲘ. სერაფიმოვიჩის ქუჩა № 2. ბინა 341. ჩემი მასპინძლები არიან ელენე და ლუცია ჯაფარიძეები, ლეგენდარული ბაკოელი კომისრის — ალიოშა ჯაფარიძის ქალიშვილები. ჩვენ ველაპარაკობთ ყველაფერზე — ახალ თეატრალურ დადგმებზე, ახალ ფილმებზე, ელესა და ახალ ლიტერატურაზე, მედეა ჯაფარიძეზე... და მეჩვენება, რომ ჩემი მასპინძლები ორი უბრალო, ჩვეულებრივი ქალია. მაგრამ რა იმალება ამ ჩვეულებრიობისა და უბრალოების მიღმა!

ელენე ჯაფარიძე ერთი ბედნიერთაგანია, რომელსაც უფლება აქვს ამაყად თქვას — ჩემი მაგნტკა! გადაფურცლეთ ძველი ჟურნალები, პოეტური კრებულები. წიგნები, გაზეთები და თქვენს თვალწინ გაცოცხლდება მაგნიტოგორსკის მშენებლობის გმირული ეპოპეა, ცოცხალი ისტორია საბჭოთა ქვეყნისა. თქვენ იგრძნობთ პირველი ხუთწლედის დაუვიწყარი წლების ვაჟკაცურ სუნთქვას. ეს წლები კი ძნელია წარმოვიდგინოთ ელენე ჯაფარიძის გარეშე, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც 30-იანი წლების სახელოვანი კომკავშირელი, შრომითი ენთუზიაზმის სიმბოლო.

...როდესაც ელენემ მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი დამთავრა, არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა: რასაკვირველია, მაგნტკა!

იდგა 1931 წელი. მატარებელი მაგნიტკაში გაჩერდა, სადაც სადგურის მოვალეობას ვაგონი ასრულებდა.

— საით გაგიწევიათ გოგონებო? — შეეგება ჩამოსულ გოგონათა ჯგუფს თმაქოჩორა კაცუკი.

— შინ! — იყო გოგონების პასუხი.

შინ — ეს იყო პალატები, სადაც მაგნიტკის პირველ მშენებლებს ზამთარშიც უხდებოდათ ცხოვრება. ყინვა ზოგჯერ 50 გრადუსს აღწევდა. მაგრამ რაც უფრო მძიმე იყო სამუშაო პირობები, მით უფრო იზრდებოდა მშენებლობის ენი, იმარჯვებდა საბჭოთა ადამიანის თამამი, გაბედული აზრი. მაგნიტკის მშენებლები შრომითი გმირობის სასწაულებს ახდენდნენ.

ელენე ჯაფარიძე მაგნიტოგორსკის პირველი ელექტროსადგურის სამუშაოთა მწარმოებელი იყო. მის ფარდალალა კანტორაში გვიან ღამემდე ენთო ლამპა. ძალიან ბევრს მუშაობდა და ძალიან ცოტა ეძინა. ხშირად, როცა თავზე დაათენდებოდა, თაკვეულ ტუდს ამოიდებდა, სკამზე მოიკეცებოდა და ასე თვლემდა ორიოდე საათს.

და როცა შეგობრები უსაყვედურებდნენ, რომ ელენემ თავი ქმის აიკვეთა ძილი, იგი დამნაშავედ იღიმებოდა და ამბობდა: ალბათ ძალიან ცუდად ვმუშაობ, რომ დღისით ვერაფერს ვასწრებო. და ეს მაშინ, როცა დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ელენე თეთრად ათენებდა ღამეს, ხოლო დასვენების დღეს მიდოდა შაბათობაზე, სადაც დუღდა მუშაობა, სადაც ახალი ძალით ენთებოდა მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც მაგნიტკაზე ყველაზე ფაართო გაქანება ჰპოვა და რომელიც ასე აოცებდა მთელ მსოფლიოს. ელენე ჯაფარიძე, ისე როგორც ამ გრანდიოზული მშენებლობის ყველა მონაწილე, ღრმად გრძნობდა თავის პატრიოტულ მოვალეობას და თავისი მონდომებით, საქმის სიყვარულით, კომკავშირული მოვალეობის ღრმა შეგებებით გასაოცარ შედეგებს აღწევდა.

სიძნელე კი რამდენი იყო! აი ელენე ჯაფარიძე სადგურზეა, სადაც თავი მოეყრია ორმოცამდე ჭაბუკს. მათ არ მოსწონთ მშენებლობის პირობები, მუშაობის ასეთი ტემპი.

— სად მიდიხართ, ბიჭებო? ოქვენ გესმით, რა მშენებლობიდან მიიპარებით? რა გადაგაწყვეტიათ ეს! ახლავე ადექით და დაბრუნდით უკან! რა ეშველება მშენებლობას, თუ ყველა თქვენსავით აიკრეფს ვედანაბადს?

ყმაწვილები უსიტყვოდ შესცქერიან გამხდარ გოგონას და მხოლოდ ერთი მთაგანი ბედავს ხმის ამოღებას:

— შენ რომელს გამოგვეკიდე, ძვირფასო? აირჩიე, ჩვენს შორის ვინც უფრო მოგწონს, ვინც უფრო გჭირდება და გულს არ დაგწყვეტთ, დაგიტოვებთ...

— მე ყველას გამოგეკიდეთ, მე ყველანი მჭირდებით, მე მინდა ყველანი დაბრუნდეთ უკან... დიახ, დიახ, ყველანი. მართალია, სიძნელეები ბევრია, მაგრამ რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს ყველაფერი სხვებმა უნდა გააკეთონ, თქვენ კი მზამზარეულზე მოხვიდეთ?

ამ საუბრის შემდეგ სადგურიდან დაბრუნებულ ელენე ჯაფარიძეს ორმოცი ჭაბუკი ფეხდაფეხ მოპყვებოდა უკან...

ელენე ჯაფარიძე არწმუნებდათ არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. მერე და, როგორ მუშაობდა!

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲚᲝ მოედანზე შაბათობაა. აქ არიან ათასობით მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურენი, დიასახლისები, მოსწავლეები. სონია პეტრენკო იგონებს: „ელენას შევხედე. გათეთრებული სახე. თვალები დახუჭული, სახეზე საშინელი ტკივილი აღბეჭდია. რა მოხდა? თურმე ტროსში თითი მოეყვა, ძალი გადაუტეხა. მან კი ხმაც არ ამოიღო“.

უცხოელი სპეციალისტები არ ცდილობდნენ დაეჩქარებინათ მუშაობის ტემპი. საბჭოთა ადამიანებს კი სურდათ რაც შეიძლება ჩქარა აემუშავებინათ სადგური. 50 ათასკილოვატიანი თბოგადამცემი კომკავშირელებმა უცხოელი სპეციალისტების დაუხმარებლად დაამონტაჟეს. მაგრამ საჭირო იო მისი გამოცდა, რაზედაც უცხოელები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ. მათ უარი თქვეს გენერატორის ჩართვაზეც. ეს სამუშაო თავს იდო ელენე ჯაფარიძემ და წარმატებითაც შეასრულა. მთავარი სპეციალისტი ჰარტი გოგნებული იყო:

— ფრაუ ინჟინერო, თქვენ ჩვენ გვიჩვენეთ ძალზე სწრაფი და ძალზე ზუსტი მუშაობის შესანიშნავი გაკვეთილი. მე აღტაცებული ვარ!

მაგნტკის შემდეგ ელენე ჯაფარიძემ ააშენა დაღესტნის თბოელექტროცენტრალი და გადამცემი ხაზი. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში და ომისშემდგომ პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა შავი მეტალურგიის ენერგეტიკას — მუშაობდა ურალეს უბანზე — საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის მოადგილედ.

იმ პერიოდში, ენერგეტიკის მძიმე და რთული ვითარების მიუხედავად, ელენე ჯაფარიძე მისთვის ჩვეული ცოდნით, მოთხოვნელობით, განსაკუთრებული გულისხმიერი დამოკიდებულებით თვითეული მომუშავისადმი წარმატებით ხელმძღვანელობდა ენერგეტიკოსთა მრავალათასიან კოლექტივსა და ენერგეტიკის — სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას.

და ყოველთვის, სადაც კი უმუშავნია, ადამიანები მისგან სწავლობდნენ არა მარტო ორგანიზებულობას, საქმიან განწყობილებას, მუყაითობას, ცოდნის განუწყვეტელი გაღრმავების დიდ სურვილს, არამედ ადამიანებთან მუშაობასაც, კოლექტივის დაფასებას და გაგებას.

...მოსკოვში კურტი და ოლგა დაბინავდნენ სახლში, სადაც ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის თანამშრომლები ცხოვრობდნენ გაჭირვებით შეათრიეს ჩემოდნები ლიფტში, რომელიც ისე გაჭედილიყო ხალხით, რომ ძლივს დაიკეტა. საერთო აურზაურში უცან გაისმა წკრიალა ხმა, რომელიც ეროს იტალიურად მიესალმა, მეორეს ესპანურად, მესამის რუსულად, მეოთხეს — დანიურად. ოლგამ კურტს რაღაც უთხრა გერმანულად და მაშინვე ამავე ხმამ მეგობრულად წარმოთქა: — „გუტენ ტაგ — როტ ფრონტ!“ მეოთხე სართულზე ოლგა და კურტი ლიფტიდან გამოვიდნენ.

მათთან ერთად გამოვიდა წკრიალახმიანი მხიარული გოგონაც. მას გრძელი შავი ნაწნავი ჰქონდა, რომელიც მეტისმეტად მძიმედ გეჩვენებოდათ მისი ასეთი ნაზი სხეულისათვის. ქალაქელებს მაშინვე მოეწონათ ერთმანეთი. სანამ კურტს ჩემოდნები ოთახში შეჰქონდა, ქალაშვილები დერეფანში შეჩერდნენ და ერთმანეთს გამოელაპარაკნენ.

— შენ ნამდვილი ლინგვისტური გენიო ხარ, — უთხრა ოლგამ.

— რას ამბობ! — გაიცინა გოგონამ და ოდნავ შეცბუნებულმა დაუმატა: — მე მხოლოდ რუსული და გერმანული ენები ვიცი, და რასაკვირველია, ქართული. მე ხომ ქართველი ვარ“...

ეს გახლავთ ნაწყვეტი გერმანელი მწერლის რუთ ვერნერის წიგნიდან „ოლგა ბენარიო“. ჩვენში კარგად იცნობენ ამ შესანიშნავი გერმანელი კომუნისტი ქალის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც იყო ბრპზნილის კომპარტიის გენერალური მდივნის კარლოს პრესტერის მეუღლე. ოლგა ბენარიო რავენსბრუკის გაზის კამერაში დაიღუპა. წიგნში ოლგა ბენარიოს შესახებ მთელი თავები აქვს დათმობილი მის მოსკოველ მეგობარს — მალის და მის ოჯახს. მალი გახლავთ პროტოტიპი ჩემი მასპინძლის, ლუცია ჯაფარიძისა.

ქალაშვილისათვის ამ სახელის დარქმევა შემთხვევითი კი არა, სიმბოლური იყო. ალიოშა ჯაფარიძეს არასოდეს არაფერი გიუკეთებია ისე, შემთხვევითი. მთელი მისი ცხოვრება ერთი შეგნებული, მიზანდასახული სწრაფვა იყო წინსვლისაკენ, ახალი საზოგადოებრივი წყობის შენებისაკენ.

სამწუხაროდ, გოგონებს იშვიათად უხდებოდათ მამის ნახვა. არელეგალური მოღვაწეობა სხვადასხვა ქალაქში, ციხე, გადასახლება ხშირად აშორებდა ალიოშას თავის ოჯახს. მაგრამ, რაც ბედი სწყალობდათ და ერთად იყვნენ, მათს ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

ეს იყო დაუვიწყარი დღეები, რომელთა მოგონება მთელ სიცოცხლეში გაჰყვათ. მამა იყო არა მხოლოდ მგზნებარე რევოლუციონერი, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი, იგი კარგი პედagogი, მხატვრული კითხვის შესანიშნავი ოსტატი, კარგი მთხრობელი, კარგი მსროლელი, მოჭადრაკე და მოჭიერითე იყო. თავდავიწყებით უყვარდა მშობლიური ქვეყანა და გოგონებსაც აყვარებდა, უყვებოდა ქვეყნის ისტორიას, უჩვენებდა ხეროთმოძღვრულ ძეგლებს, აცნობდა ხალხურ მგირებს. პიესებით გატაცებული, შვილებსაც აყვარებდა პოეზიას. გადასახლებიდან გამოგზავნილი მის წერილები მუდამ სინაზითა და დიდი სიყვარულით სუნთქავდნენ. მამა სთხოვდა შვილებს ახლოს გაეცნონ ოარიბთა შვილები, ეზრუნთ მათზე, ყველაფერი ეს „გაიზრდებით და გამოგადგებათო“.

მართლაც ეს ყველაფერი გამოადგათ და დაეხმარათ ელენეს და ლუციას, ალიოშას ღირსეულ შვილებს. ლუცია იდგა ჩვენს ქვეყანაში კომკავშირის ჩამოყალიბების სათავეებთან. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა თბილისში საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციაში, აქტიურად მონაწილეობდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. დიდია მისი წელილი უპატრონო ბავშვთა მოვლისა და აღზრდის საქმეშიც. თავის დროზე ახალგაზრდული კომინტერნის ბრწყინვალე წარმომადგენელი, შემდეგ მრავალი წლის მანძილზე იყო ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. დღეს კი ჩვეული მონდომებით განაგრძობს საქმიანობას მშვიდობის დაცვის ქალთა საერთაშორისო კომიტეტში.

...1918 წელს, ანჩაკუიმის უდაბნოში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, სადაც მოხანათრად დახვრიტეს 26 კომისარი, ალიოშა ჯაფარიძის ოჯახის მთელი სიმძიმე დაეწვა ხალი რეგოლეციერი, შფოთიანი ცხოვრების ერთგულ მეგობარს და თანამოღვაწეს — ვარო ჯაფარიძეს.

მარტოდ დარჩენილი ვარო ჯაფარიძე მხოლოდ თავის ქალიშვილებს აღზრდა როდი უნდოდათ, იგი მრავალი წლის მანძილზე იყო საქართველოს განათლების სისტემის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი. დაუღალავად მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის სხვადასხვა ხელმძღვანელ ორგანიზაციებში და სახამ საბოლოოდ სამუშაოდ მოსკოვში გადავიდოდა, სადაც იგი მხარს უბამდა მუშაობში ნადეჟდა კრუპსკაიასა და სერგო ორჯონიკიძეს, არაერთხელ იყო არჩეული რესპუბლიკური და საკავშირო პარტიული ყრილობების დელეგატად საქართველოდან.

ვარო ჯაფარიძემ არა მარტო თავისი ქალიშვილები აღზარდა. ჩვენი ნაცნობილი მსახიობი, რეს პუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე — ალიოშა ჯაფარიძის ერთადერთი დისშვილი, მის ოჯახში იზრდებოდა. სწორედ ამ ნათელ ოჯახში ყალიბდებოდა ბავშვობიდან მომავალი შემოქმედის ხასიათი. და მოქალაქეობრივი მრწამსი...

3 ᲔᲨᲕᲘᲓᲝᲛᲝᲑᲔᲑᲘ ძვირფას მასპინძლებს. უკვე შორს დარჩა მათი სახლი. დედაქალაქის ხმაურიანი ქუჩა ათას ახალ სიფიქრალს მთავაზობს, მაგრამ გგრძნობ, რომ მონუსხულიოთ ჯერ ისევ ახლახან მიღებული შთაბეჭდილების ტკვეობაში ვარ, მივდივარ და თან მომდევს ქვეყნის წინაშე ამ ჭეშმარიტად ვალმოხდილი ოჯახის სითბო.

ᲚᲘᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ელენე, ლუცია და მედეა ჯაფარიძეები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ V ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲚᲕᲔᲑᲡ...

რაც დღე გადის, მით უფრო ძალას იკრებს, ფართო მასშტაბსა და გაქანებას იღებს, მთელი სიგრძითა და სიგანით ჩაღდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მუშაობა.

ბევრგან პარტიული კომიტეტები შემოქმედებითად უდგებიან ამ მეტად საჭირო და საშურ საქმეს. ისინი ახალ ფორმებსა და საშუალებებს ეძიებენ და პოულობენ პლენუმის მასალების ფართო პროპაგანდისა და შესწავლისათვის, გადაწყვეტილებათა სწრაფად განსახორციელებლად. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა „მინისტრის ტრიბუნა“, რომელიც ამ დღეებში ახლებურად მოაწყო თბილისის ორჯონიკიძის რაიკომმა.

... დარბაზში რაიონის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები სხედან — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებისა და ფაბრიკა-ქარხნების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების, აგრეთვე პარტიის ვეტერანები, პერსონალური პენსიონერები, დიასახლისები.

როგორც კი პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. **ჩიკვაიძემ** დაამთავრა შესავალი სიტყვა, დარბაზიდან მაშინვე წამოვიდა წერილები შეკითხვებით. შეკითხვების ნაკადი არ შეწყვეტილა მთელი შეხვედრის მანძილზე. და სხვათა შორის, ეს არის ერთ-ერთი დამახასიათებელი და თავისებური ნიშან-თვისება „ტრიბუნისა“. აქ სხვაც ბევრი იყო ახალი, მაგრამ იმათზე ცოტა ქვემოთ.

თუმცა შეხვედრას „მინისტრის ტრიბუნა“ ჰქვია, მაინც ტრიბუნა ჯერ სხვებს დაეთმო — ხალხის, მასის, საზოგადოების წარმომადგენლებს.

პლენუმის შედეგებზე მოკლე მოხსენებებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება გამოვიღნენ — ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი **მ. ღალანიძე** და საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი **ა. კუჭუხიძე.**

მათ უაღრესად დიდი შეფასება მისცეს პლენუმის მუშაობას, რომელიც ახალ, მაღალ ეტაპად უნდა იქნას მიჩნეული მომსახურების სფეროს მუშაობის რადიკალურად გარდაქმნაში. რაიონის პირობების გათვალისწინებით სწავლულება მრავალი ფრთიერესპრაქტიკული მნიშვნელობის წინადადება და რეკომენდაცია წამოაყენეს. მათ შემდეგ ერთმანეთს ცვლიდნენ სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ცეცლაძე,** საშენ მასალათა კომბინატის მუშა **ე. შუბითიძე,** დიასახლისი **ს. ნაცვლიშვილი,** თბილისმასტანავაჭრობის რაიონული გასყიდვების დირექტორი **მ. ხვანაძე,** მრავალდარგოვან საწარმოთა გაერთიანების № 14 კომბინატის ოსტატი **თ. ბიკიაშვილი,** ორჯონიკიძის რაისტრაციათავაჭრობის ქსელის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **რ. შურლულაია.**

რაზე აღარ იყო ლაპარაკი ამ გამოსვლებში, ყველაფერზე — **რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ზედმეტს ახდევინებენ შეკერვაში და არ უფორმენენ ქვითრებს, რომ მეტად მოუხერხებლად არის განლაგებული თეთრეულის სარეცხი პუნქტები და საწარმოები, უხარისხოდ რეცხავენ და ზოგჯერ უფრო სვრიან, ვიდრე რეცხავენ, რომ ღარიბია კერძების ასორტიმენტი მუშათა სასადილოში, რომ ხილ-ბოსტანეაჟრობის მაღაზიებში მოუგვარებელია ტარით მომარაგება, მისი უკან ჩაბარებისას სათანადო საფასურს არ უხდიან მაღაზიას, რაც ტვირთად აწვება სხვებს, რომ საჭიროა ცენტრალიზებულად ხდებოდეს ბოსტნეულის დაფასება, უნარიანად იყენებდნენ გამყიდველთა და ხელოსანთა მატერიალური წახალისების ფორმებს. სრულად უნაზღაურებდნენ ზედმეტ საათებს, ვაჭრობის პროგრესული ფორმა — დაფასებული საქონლით ვაჭრობა უფრო პოპულარული რომ გახდეს, მრეწველობამ მეტი დაფასებული სურსათი უნდა გამოუშვას და სხვა.**

დადგა მომენტი და „ტრიბუნაზე ავიდნენ ისინი, ვინ სახელიც დაენათლა ასეთ შეხვედრას — მინისტრები...

„მინისტრის ტრიბუნის“ ერთ-ერთი მიზანი მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირებაა, რა ღონისძიებები ხორციელდება და რის გაკეთებას აპირებენ მომავალში ამა თუ იმ დარგის მიხედვით.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ამხ. **ვ. სობოლევმა** დაწსწრეთ გააცნო, რომელი ახალი ობიექტები ჩადგება მწყობრში წლეულს თბილისში, ორჯონიკის რაიონში. კერძოდ, დაასახელა, რომ მუშაობას დაიწყებს 15 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის დიდი საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრი ტელევიზორების შემკეთებელი, ფეხსაცმლის, სატრიკოტაჟო, საგალანტერეო ქარხნებითა და ფაბრიკებით: ეარკეთილის მასივში გაიხსნება რეცხვანა და ქიმწმენდის დიდი ფაბრიკა, ვაჟკაცაძის პროსპექტზე—საპარიკმახერო და ა. შ.

— 30 წელიწადში მეტია, რაც თვალყურს ვადევნებ ან უშალოდ ვმონაწილეობ საქართველოს უმაღლესი პარტიული ორგანოს მუშაობაში და არ მახსოვს, რომ მას როიისმე არათუ ფართოდ და ღრმად, არამედ, საერთოდ, ემსჯელოს ვაჭრობის საკითხზე. — თქვა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა ამხ. **მ. მეგრელიშვილმა.** შემდეგ იგი შეჩერდა სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში არსებულ სიძნელეებსა და პრობლემებზე. მეგრელიშვილმა გამოსვლის ფინალი ნაწილი შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას დაუთმო.

შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრია: ერთთობლივი ძალით, მთელი საზოგადოების იქტიური მონაწილეობით გაჩაღდეს ბრძოლა მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ამოცანის დაძლევა მით უფრო გაადვილდება და მიზანი მალე იქნება მიღწეული, რაც უფრო თვითეული მოქალაქე სწრაფად და მტკიცედ დადგება პირადი უფლების დაცვის სადარაჯოზე, ნებას არ მისცემს წამგლეჯს მოატყუოს, მოპაროს და როცა მოპარავენ, თვალს კი არ დახუჭავს, არამედ ამხელს, სამარცხვინო ბოძზე გაიკრავს ყველა დამრღვევსა და დამნაშავეს. კაბიკი რაა, კაპიკს არ შეარჩენს. ასე უნდა იქცეოდეს არა ერთი, ორი, ათი, ასი და ათასი, არამედ ყველა.

ამ წერილის მიზანი არა იმდენად „ტრიბუნის“ დაწერილებითი საგაზეთო ანგარიშია, რამდენადაც მიღებული შთაბეჭდილების გაზიარება, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და სპეციფიკის გამოყოფა, აგრეთვე ზოგიერთი იმ მოსაზრების გადმოცემა, რომელიც ამ უდაოდ საინტერესო ღონისძიებამ აღძრა.

დარგის ხელმძღვანელისა და მოსახლეობის პირისპირ შეხვედრა, უშუალო და ძალდაუტანებელი ურთიერთობა, — აი რით იყო „ტრიბუნა“ შესანიშნავი. — პირუთვნელი და გულახდილი საუბარი, თუნდაც იგი ხანდახან ცხარე დავადაც ქცეულიყო, რაც დროგამოშვებით აქაც იჩენდა ხოლმე თავს, სულაც არ არის საშიში, პირიქით, იგი ორივე მხარისთვის — ტრიბუნისათვისაც და დარბაზისთვისაც სასარგებლოა. დავაში იშობა ჭეშმარიტებაო. და ეს იყო ამ სიახლის, თუ გნებავთ, მაღლი და სურნელი. ამის გარდა, ეს კიდევ ერთხელ დადასტურებს იმ უდავო ფაქტს, თუ რამდენად მწვავე, აქტუალური, ყველას რომ გულში ხვდება და აღელვებს, ისეთი პრობლემები სდგა ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმმა.

ასეთი შეხვედრები დიდად სასარგებლოა ყველასათვის. მაგრამ ეფიქრობთ, სრულებითაც არ არის საკვლდებელო, რომ მსგავსი ღონისძიება მხოლოდ მინისტრების დონეზე იწყობოდეს, მაშინ ხომ „ტრიბუნის“ კონტინგენტი მეტად შეზღუდული იქნებოდა და სწრაფად ამოიწურებოდა. აქ ასევე უნდა გამოდიოდნენ სხვა თანამდებობის პირები — მინისტრების მოადგილეები, კოლეგიის წევრები. უნდა გაფართოვდეს თვით სამინისტროთა და უწყებათა წრეც. მათში უნდა ჩაებან ხელმძღვანელები მსუბუქი და ოდგილობრივი მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისა ე. ი. ყველა იმათი, ვის წინაშეც პლენუმმა ახალი დიდი ამოცანები დასახა.

სასურველია, რომ ასეთი შეხვედრები მოეწყოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, სხვანაირთ ოსეთის ოლქში, მსხვილ ქალაქებში, რაიონულ და სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე დიდ სამრეწველო თუ აგრარულ გაერთიანებებში.

ორჯონიკიძელთა ეს ღონისძიება კოლექტიური შრომის ნაყოფია. პარტიის რაიონულ კომიტეტთან ერთად მის მოწყობაში მონაწილეობდნენ სამეცნიერო ორგანიზაციები, საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილება, გაზეთების — „თბილისისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციები. ამანაც უზრუნველყო „ტრიბუნის“ მომზადების მაღალი დონე და წარმატება.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ეს ღონისძიება, რომელიც V პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებული მუშაობის პირველ დღეებში ახლებურად წარმოგვიდგა, ჩვენი აზრით, მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია.

ს. ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲝᲗ ᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲝ!..

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

□

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (სპეც. კორ.). ქალაქის ცენტრში, პუშკინის ქუჩაზე საეპასლატაციოდ გადაეცა თვითმომსახურების ახალი უნივერმაღი. იგი აეშენა ფინეთის საექსპორტო გაერთიანება „მეტეკსმა“. მაღაზიის კომპლექსს 2.700 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს.

— დავზოგოთ მყიდველის დრო,— ამ მიზანს ემსახურება უნივერმაღის მთელი ტექნოლოგიური მოწყობილობა. სახურათო სექციაში ავტომატური მანქანები აგიწონით პროდუქტებს, გიანგარიშებთ დანახარჯს, დაგიბრუნთ ძიებს, შეგიფუთავთ ხილს...

ტანსაცმლის სექციაში კომფორტული გახადელია მბრუნავი სარკეებით.

შესახვლელში სავაჭროდ კალათებს შემოგთავაზებენ. თუ იმდენი პროდუქტის ყიდვა გეჭირდებათ, რომ ტარება გაგიძნელდებათ, შეგიძლიათ აიღოთ ბორბლებიანი კალათი, რომელსაც ბატარა ბავშვის დახაჯდომიც აქვს.

დამპროექტებლებს უფიქრიათ კლიმატზეც, სიცივეში შენობა ავტომატურად თბება, სიცხეში კონდიციერებული გრილი ჰაერი შემოდის. საბაზყობო მეურნეობაში სატვირთოსატრანსპორტო ოპერაციები სრულდება ჰიდრავლიკური ურიკებით. ერთი სიტყვით, ახალ უნივერმაღში გამოყენებულია სავაჭრო ტექნიკის ბევრი სიახლე.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ.

□

ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ნინოშვილისა და ჩეხოვის ქუჩებს გადაკვეთასთან გაიხსნა ქალაქის „ვენეკეარრობის თვითმომსახურების 41-ე მაღაზია.

მაღაზია ერთიანმოწყობილია, აღჭურვილია მაცივარ-დანადგარებით, აქვს ხორცეულის, გასტრონომიული ნაწარმის და პურის სექციები. მომსახურე პერსონალი შედგება მხოლოდ ქალებისაგან.

Ი. ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-ქამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად შემხვედრი გეგმა აიღო. მქსოველებმა გადაწყვიტეს 7 ნოემბრისათვის გამოუშვან 409 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, 7 ტონა შალის ნართი, 10 ათასი გრძივი მეტრი შალის ქსოვილი.

კომბინატში ფართოდ გაიშალა ბრძოლა ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ახლახანს პალტოს ქსოვილის შვიდ ნიმუშს მიენიჭა ხარისხის უმაღლესი კატეგორია. ხუთწლედის მეორე წლიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფო ხარისხის-ნიშნიანი ქსოვილების გამოშვება. **ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ:** (მარცხნიდან): დესანტორი მარიეტა ოსაძე, თბილისის მაუდ-ქამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ასორტიმენტის კაბინეტის გამგე შარლოტა ჭყარეიშვილი, პარტკომის მდივნის მოადგილე ნაზი მარგიშვილი და დესანტორი ხოფიო ზარდარიანი ათვალიერებენ საპალტოე ქსოვილს, რომელსაც ხარისხის უმაღლესი კატეგორია მიენიჭა.

Ш. ᲠᲘᲩᲛᲡᲙᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

ᲛᲙᲕᲘᲚᲓᲠᲓᲔᲑᲐ ᲙᲐᲚᲘᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲘᲜᲕᲔᲚᲘ

„ᲮᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲘᲣᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲠᲯᲐᲜᲐ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ“...

ᲛᲔᲝᲥᲔᲛᲒᲔ საუკუნის მეორე ნახევარში მოსულა იოანე ზედაზნელის მოწაფე და დაუარსებია იაყლთოს მონასტერი. იგი ყოფილა ზენონი შიმდეგში იყალთოელად წოდებული. ძველქართულად სოფელს იუღთას უწოდებდნენ.

1963 წლის 24 ნოემბერს იყალთო ახალდაარსებულ დღესასწაულს შოთაობას ზეიმობდა.

შოთაობის აღსანიშნავად საბოფლო კლუბის ეზოში გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც მერაბ ბერძენიშვილმა შექმნა. ძეგლი ქართული სიმღერის „შემოძახილის“ ჰანგებით სავსე ეზოში საპატიოდ აღმართულ ჩამოხსნის პროფესორმა შოთა მესხიამ. იყალთოელმა გლეხმა პოეტმა ეგონ მრეულაშვილმა და პროფესორმა ეგმა წაიკითხეს. ამ დღიდან იყალთოელები „ყოველწლიურად. ოქტომბრის ბოლო კვირას შოთაობას ზეიმობენ.

ეს იყო პირველი.

მერე შოთაობა უკვე ნამდვილ დღესასწაულად, სახალხო ზეიმად იქცა, დაიბეგრა. მრავალფეროვანი შინაარსი შეიძინა და ხვეული შემოდგომის, ქართული ლექსის, ძმობის, მეგობრობის, ურთიერთგაგების ნამდვილ სახალხო დღესასწაულად ჩამოყალიბდა.

ქართული სიმღერები, ბერიკაობა, სპორტული სანახაობანი, სამხატვრო გამოფენები, მუზეუმი, ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი. ერთდროული გაზეთი „შოთაობა“. თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ქაღალდფრენები: „მოგილოცავთ სახალხო დღესასწაულს შოთაობას!“ სუფეირებად „ქართულ-იყალთოური თიხის ჭურჭელი. მერე ალადენიის ნანგრევებში—მწვანე აუდიტორიაში სახალხო უნივერსიტეტის ღია მეცადინეობა... მერე პოეტთა ტრადიციული შეჯიბრება, სახალხო მომქმედთა პაექრობა, ბოლოს იმპროვ

ჩვენი ხელოვნება საზღვარგარეთ

ტაშს უკრავენ ქართულ კოლექტივს

სოფია, 23 თებერვალი. (საკუთარი). აღფრთოვანებულმა სოფიელმა მაყურებლებმა მჭუხარე ტაშითა და მიხაკების დიდი თაიგულებით დააჯილდოვეს ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „აისის“ კოლექტივი, რომელმაც გუშინ პირველი კოncერტი გამართა ბულგარეთის დედაქალაქში.

ქართული ხალხური მელოდიების გულშიჩამწვდომმა ჟღერადობამ და ტემპერამენტმა, მაესტროებმა მალალმა ოსტატობამ, რომლებმაც შეასრულეს საბჭოთა და ბულგარული სიმღერები და ცეკვები, ბულგარელი და სხვა ქვეყნების ხალხთა სიმღერები, ყველა მოაჯადოვა.

„აისი“ უკვე ორი კვირაა ვიმყოფები ბულგარეთში. ამ ხნის მანძილზე მან კონცერტები გამართა 13 ქალაქში. ქართულ კოლექტივს ყველგან წარმატება ხვდა. მისი გასტროლები კვირის ბოლომდე გასტანს.

საბჭოთა მსახიობები მაროკოში

რაბათი. (საკუთარი). მაროკოს დედაქალაქში საგასტროლოდ ჩამოვიდა საბჭოთა ესტრადის მსახიობთა ჯგუფი. მის შემადგენლობაშია ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოვერია“, ცეკვის ანსამბლები „ვეხორ“ და „კაკაკასიონი“. საბჭოთა მსახიობები კონცერტებს გამართავენ რაბათსა და კასაბლანკაში.

„საჩინო“ ჩვენი თვალისჩინია

საინტერესო პროექტს მხარდამჭერა სჭირდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს წინაშეა პროექტი, რომელიც თბილისის ერთ-ერთი უბნის რეკონსტრუქცია-რესტავრაციას, უფრო სწორად ადაპტაციას გვთავაზობს. ეს უბანი ძველი თბილისის, მთლიანად თბილისის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული სახის მნიშვნელოვანი კომპონენტია, იგი მეტად გამორჩეული უბანია და ამიტომ, ავტორებმა (არქიტექტორები ალექსანდრე ბაქრაძე, ვაჟა ორბელაძე, გელა ჯაფარიძე, ნოდარ ჯობაძე) საპროექტო წინადადებას სამართლიანად უწოდეს დარეჯანის სასახლის გაერცელებული სახელი — „საჩინო“. უბანი მართლაც საჩინოა და მას თვალისჩინივით გაფრთხილება და მოვლა უნდა.

სადარეკტივო ორგანოების დადგენილებით დამტკიცებულია თბილისის ძველი ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონა. ამით შექმნილია მნიშვნელოვანი საკანონმდებლო საფუძველი ჩვენი დედაქალაქის ისტორიული ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის. ახლა საჭიროა, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა, თანაც რაც შეიძლება ჩქარა, თორემ, რა დასამალავია, ძველი უბნების ქუჩების, ფოლორაცების, ნაგებობების ახლანდელი მდგომარეობა უაღრესად არასახარბიელოა.

არ შეგცდეთ, თუ ვიტყვით, რომ ხელმეშეგუბულობის, უდარდელობის გამო ძველი თბილისის უბნების მდგომარეობის საკითხი ამჟამად მწვავედ დგას, და, ცხადია, მარტო ვიშვიშით და ობიექტური მიზეზებით თავის მართლება საქმეს ვერ უშველის.

ამ უბნებს ისტორიული და მხატვრული ღირებულება აქვს. ეს არ არის ე. წ. ჯურღმულები ან „ნახალოვკა“-ნაძალადევის ტიპის დასახლება. ეს არის ქალაქშენებლობის, ხუროთმოძღვრების, ძველი ქალაქის ისტორია. ეს ისეთი უბანია, რომლის მსგავს უბნებზე, ქალაქის ძველ ნაწილებზე ჩვენი დროის პროგრესული მოღვაწე და დიდი ხუროთმოძღვარი ლე ჯორბუზიე წერდა: წარსულის ძვირფას მოწმეებს (აქ იგი გულისხმობდა ცალკეულ სახლებს, ნაგებობებს, საქალაქო ანსამბლებს, ტრასებს, ე. ი. ქუჩებსა და მოედნებს) ჩვენ პატივს ვცემთ. როგორც ისტორიულ ძეგლებს და ადამიანთა გრძნობების გამოვლინებას, როგორც პლასტიკური ხელოვნების გამოვლინებას, რაც ადამიანის გენიის უმაღლესი სტადიაა.

ძველი თბილისის უბნებში მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს და საგანგაშოს ხდის ის, რომ არსებული განაშენიანება ძირითადად ამორტიზებულია. ვიმეორებ საქმეს შვილი უნდა. მაგრამ როგორ?

ერთადერთი მართებული გზა ძველი ქალაქის ცალკეული უბნების გეგმაზომიერი გაჯანსაღება, რეკონსტრუქცია, აღდგენა, სადაც კი შეიძლება ადაპტაცია, უბნების თუ ცალკეული სახლების გამოთავისუფლება, მათი შესწავლა, აზომვა-ფიქსაცია, აღდგენა და ახალი დანიშნულებით გამოყენება. ეს არ გამორიცხავს ზოგიერთი უბნის ისევ საცხოვრებლად გამოყენებას, ოღონდ თანამედროვე კომფორტით, თანამედროვე კომუნალური და საცხოვრებელი პირობების შექმნით. ძნელია? რა თქმა უნდა ძნელია. მაგრამ რას იზამ, სხვა გზა არ არის.

დაკვირდით: ამჟამად ამ უბნებიდან — ამორტიზებული, დანგრეული სახლებიდან მცხოვრებლების გარკვეულ რაოდენობას ახალ უბნებში ბინაც ვასახლებთ. ჯერჯერობით ასეთი ათამდე სახლი თუა წელიწადში. თანდათან ეს რიცხვი მოიმატებს. მაშასადამე, იქმნება იმის საშიშროება, რომ ერთ დღეს, გვინდა თუ არა, დასაცმაყოფილებელი იქნება მთელი კვარტალების, უბნების მცხოვრებლები. ამასთან მხატვრული და ისტორიული ღირებულების ნაგებობები, ე. წ. „თბილისური საცხოვრებელი სახლები“ დაიკარგება სამუდამოდ, დაიკარგება განაშენიანების ხასიათი. ამიტომ განა არა სჯობს ვიმუშაოთ გეგმაზომიერად, წინდახედულად და რეალურად შევხედოთ შექმნილ მდგომარეობას? ჩვენს სახელმწიფოს აქვს ამის საშუალებები და საშუალებები.

კიდევ უკეთესი იქნება თუ ქალაქი, სახელმწიფო ადაპტაციით შემოსავალსაც მიიღებს. აი, ასეთი გზაა მითითებული წარმოდგენილ საპროექტო წინადადებაში — გადავაქციოთ მეტეხის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ძველებრივ ღვინის აღმართსა და მეტეხის აღმართს შორის მდებარე უბანი სასტუმრო ცენტრად უცხოელი ტურისტებისათვის.

პროექტში მართებულია არა მარტო მთავარი იდეა, არამედ არქიტექტურულ-გეგმარებითი ხასიათის ძირითადი მოსაზრებებიც. სწორია, რომ ტურისტული კომპლექსის ცენტრი უნდა მოთავსდეს „საჩინოში“. ეს ამ უბნის გეოგრაფიული და მოცულობითი ცენტრია. ასევე მართებულია ახლანდელი საცხოვრებელი სახლების მოდერნიზაცია, სასტუმროს ცალკეულ კვანძებად დაყოფა, მათი ფუნქციური ურთიერთკავშირი და შიგაეზოსათვის მაორგანიზებელი გამაერთიანებელი ფუნქციის მინიჭება და სხვ. დაპროექტების ამ სტადიაზე ავტორებმა მთავარი საკითხები ძირითადად მართებულად დასვეს და გადაწყვიტეს.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა უკვე ახლა ხელთ გვქონოდა მთლიანად ძველი ქალაქის მეცნიერულად გაანზრებული აღდგენა-კოსერვაციის გენერალური გეგმა, მაგრამ ალბათ ასეც შეიძლება ლოკალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტა.

ეს მონაკვეთი (მეტეხის აღმართიდან ღვინის აღმართამდე) შემადგენელი ნაწილია ძველი ქალაქის მარცხენა სანაპიროს საკმაოდ დიდ მანძილზე გაჭიმული სილუეტისა — ორთაჭალასის მიდამოებიდან ვიდრე ბარათაშვილის ხიდის ღერძამდე. მისთვის დამახასიათებელია საკმაოდ მაღალ, ციცაბო კლდოვან ნაპირის ქიმზე გადმომდგარი 2-3 სართულიანი დანაშენიანება. თანაც აქ სახლების მოცულობები მონაცვლეობს — პორიზონტალურ აბზაცებს ცვლის ვიწრო ვერტიკალური კედლების ან აივნების იარუსების „ბილები“. ეს სილუეტი ორ-სამ პლანად იხატება ცის ფონზე. საჭირო ვერტიკალურ აქცენტებს ქმნის ეკლესიების გუმბათები და მათ შორის მთავარი აქცენტი მეტეხის ეკლესია.

სწორედ სილუეტის თავისებურების შესანარჩუნებლად, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება დავაზუსტოთ, როგორ ჩაიხატება მარცხენა სანაპიროს ეს ერთ-ერთი ბაზაცი საერთო დიდ სილუეტში. ამ საკითხის დამუშავება იმდენადაც არის საჭირო, რამდენადაც უკანასკნელი წლების ინტენსიური ნგრევის შედეგად შეიქმნა საშიშროება, რომ ღვინის აღმართიდან მარცხნივ სილუეტური გადასვლა ბარათაშვილის აღმართის თავზე განლაგებული სახლებისაკენ ირღვევა — აქ ბალე (ისევ შვილია საჭირო!) შეიქმნება სიცარიელე, რომლის შევსება თანამედროვე არქიტექტურას მოუხდება.

საჭირო იქნება გამწვანების გამოყენება სილუეტის გასამახვილებლად, ზოგიერთი ლაკუნის ამოსავსებად. არსებული უთავბოლო გამწვანება უნდა გამოიხშიროს, რათა რეგენერირებული არქიტექტურა უკეთ გამოჩნდეს.

ასევე აუცილებელია ქუჩების ისტორიული ქარგის, გეგმების გამოვლენა, ფიქსირება. თუ ახალ ქუჩას ან შესახვევს ვჭრით, მისი პანელი ახლებური უნდა იყოს, თუ ძველს ვაუქმებთ, რაღაც საშუალებით, ხერხით სიძველე უნდა მივანიშნოთ, არ დავკარგოთ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს უბნის განაშენიანების არა მარტო გარე, მტკვრისაკენ მიმართულ ფასადურ მხარეს, არამედ მთელ ორგანიზმს — ქუჩების სიღრმეში განაშენიანების საკითხს, და ეს არა იმიტომ, რომ იქაც არის მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების სახელები, არამედ (და ეს მთავარია) იმიტომ, რომ სწორედ ეს ქმნის ამ უბნის განაშენიანების ხასიათს (და საერთოდ ძველი თბილისის ხასიათს) და ამ ხასიათში, ამ კოლორიტში უნდა იცხოვროს სტუმარმაც (რა თქმა უნდა, ყოფისათვის საჭირო აუცილებელი იზოლაციით).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვით საცხოვრებელი სახლების მხატვრულ მხარეს. მათი შესწავლა, ფენების გამომჟღავნება, აზომვა-ფიქსაცია, აღდგენა-კოსერვაციის პროექტის შედგენა, ზედმეტის მოცილება, თუ ახლის ჩამატება დიდ შრომატევად მუშაობას მოითხოვს. პროექტი მოწმობს, რომ ავტორები მზად არიან ამ სამუშაოსათვის და, თუ სათანადო მეცნიერულ კონსულტაციას მიიღებენ, პროექტირების შემდეგი სტადია სათანადო დონეზე წარიძართება.

საპროექტო წინადადება „საჩინო“ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარმა არქიტექტურულ-გეგმარებითი სამმართველოს საბჭომ ოთხწონა. ახლა საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები ამ ინტერესის გასაგრძელებლად და მოძიებნოს შემკვეთი ორგანიზაცია. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი შემკვეთი უნდა იყოს საკავშირო საქაქციონერო საზოგადოება „ინტურისტი“. ძველი ქალაქის უბნების აღდგენა და მოვლა-პატრონობა მარტო ქალაქის მმართველობის სახსრებით ვერ მოეკრიდებაა. ამ პატრიოტულ, საშვილიშვილო საქმეში მას გვერდში უნდა ამოუდგნენ ის დიდი ორგანიზაციები, რომლებსაც სახსრები და შესაძლებლობა აქვთ.

ს. კინწურაშვილი,
საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე.

* * *

სურათზე: საპროექტო წინადადება „საჩინოს“ ფრაგმენტი.

ხვალ თბილისში

ვაჟა-ფშაველას და საყოფაცხოვრებო რომანტიკის მოზეიმეთა ბოლო ტურნირის ასალაზნდობის რესპუბლიკური შეკრება გაიმართება 1977 წლის 26 თებერვალს 16 საათზე თბილისის სპორტის სახლში.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

25 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყინულოვის წიგნის კვალდაკვალ“, 11.05 — მხატვრული ფილმი „ალონი, ტაქსი“, 12.25 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია, 17.45 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 18.10 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 18.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი — „ეუმღერთ საშობაოოს“. ფერადი გამოსახულებით, 19.05 — საბჭოთა საქართველოს პირველი ანბიჯები, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 22.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელი 1976“. პრემიერა, 23.30 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 56-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი. ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ეარმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სხრ კავშირის პირველობა კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „აკადემია“ (ტალინი). ტრანსლაცია ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზიდან).

მეორე პროგრამით

18.15 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 19.00 — კინო-ნარკვევი „ვადიმ რინდინი“, 19.20 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.05 — განცხადებები, 20.10 — მხატვრული ფილმი „კარაუხინი“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

26 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 06.50 — „სოფლის ფილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რუსულ-ეროვნული გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნ. გაბუნია. ვოკალურ-ინსტრუმენტული პიესა „ოგვი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.00 — „ეუფლებიან ლენინურ მოძღვრებას“, 12.15 — კონცერტი-საუბარი „მღერის ლ. ჭყონია“, 13.15 — ბ. მიღორავა. სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — უკრავს ვ. ისაკაძე, 17.15 — ბავშვებისათვის საყმაწვილო ოპერა „სამი გოჭი“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — რადიოჟურნალი „ადამიანი და კანონი“, 20.30 — „მსოფლიო ლიტერატურის საგანძურიდან“ — ვ. პიუგო, 21.00 — „ძიულსპირული“, 21.15 — ანსამბლ „ოვერიის“ კონცერტი, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „სასიქადულო მამულიშვილები“ — აკ. შანიძე, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 23.30 — ა. სკრიაბინი. საფორტეპიანო კონცერტი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

25 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მოახლე ქალბატონი**, ჯაბა ბაზელეიშვილის სახელმწიფო აკადემიური — **თავალი პატიოსანი**; ვახტანგ ბაბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ეარამანს ქალი მოჰყავს**; მინიატურების სახელმწიფო — **ნაპრები**.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს მთა-ბარში

ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ“



სრული დატვირთვით მუშაობენ ამ დღეებში აფხაზეთის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. კარგი ამინდები დგას, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით დამსვენებელი ატარებს შვებულებას სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, გულრიფშში, ახალ ათონში.

სურათზე, რომელიც საკინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ი. ბოსტონელიძემ გადაიღო, აღბეჭდილია შავიზღვისპირეთის თვალის — გაგრის სანატორიუმი „კოლხეთი“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐ

მოსკოვში გამოვიდა მორის ფოცხიშვილის ლექსების კრებული

□

მორის ფოცხიშვილი ჩვენი თანამედროვეა. მისი ლექსები ინტიმურად ისმის და ხალხის გულისკენ გზებს ბუნებრივად, ადვილად იკვლევს. ალბათ ამიტომ არის, რომ ეს ლექსები სიმღერად იქცევა და მთელ საქართველოში გაისმის ესტრადიდან, ეკრანიდან, რადიო და ტელეგადაცემებიდან. მ. ფოცხიშვილის საოცარი პოპულარობა მხოლოდ ლექსის ხმოვანებით კი არ აიხსნება, არამედ იმ სათქმელის სიღრმით, რომლითაც პოეტი ჩქითხეკენ მიმართავს.

ზემოთქმული პატარა ანოტაცია გახლავთ ახალი, გემოვნებით გაფორმებული წიგნისა, რომელიც რუსულ ენაზე გამოუშვა საკავშირო გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“.

მორის ფოცხიშვილმა ამ წიგნს „ბედნიერების ცისარტყელა“ უწოდა. კრებულში თავმოყრილია სხვადასხვა დროის ლექსები, რომლებიც თარგმნეს გამოჩენილმა პოეტებმა და მთარგმნელებმა: მ. სინელნიკოვმა, კლ. ლეგოკინმ, ი. რიამენცევმა, ე. ნიკოლაევსკაიამ. კრებულის რედაქტორია ე. ჯალიაშვილი, წიგნი ათიათას ცალად გამოვიდა.

წიგნს ერთვის მწერალ ნ. დუმბაძის წინასიტყვაობა. მასში ეკითხულობთ: „არის წიგნები, რომლებსაც წინასიტყვაობა არ სჭირდება. პირველივე ლექსი კრებულის თავისთავად წინასიტყვაობაა, ხოლო ყველა მომდევნო — ფიქრი, მსოფლმხედველობა და ბიოგრაფია ავტორისა.

ასეთ კრებულად მიმაჩნია მე მორის ფოცხიშვილის ეს კრებული და ასეთ პოეტად მიმაჩნია იგი თავად.

ეზღა მორის ფოცხიშვილი ერთ-ერთი იმათგანია საქართველოში (თუ არა ერთადერთი), რომელსაც საკუთარ ლექსებს ხალხი დარბაზიდან უკარხაზებს და ხმას აყოლებს კიდევაც. ეს წარმატება ისე იოლად არ მოუპოვებია მორის ფოცხიშვილს, — როგორც ზოგს ჰგონია. იგი ჩემს თვალწინ ვაკაცდებოდა, ოსტატდებოდა და, რაც მთავარია, ბრძენდებოდა.

საქართველოში საოცარი რამ ხდება: დღემდე არცერთი პოეტის იმდენი ლექსი ხალხს არ უმღერია, რამდენსაც მორისის ლექსებს მღერიან. იგი, ქარაგმულად თუ ვიტყვით, „ამღერებელი ტალანტია“. მორის ფოცხიშვილის ლექსს ყველგან, ყველა ოჯახში შეხვდებით, თითქოს ათას ხმაზე ამღერებული, თბილისისა და თბილისელების მოტრფიალე მკლავკაშლილი პოეტი დადიოდეს ქუჩაში და ქვეყანას ეალერსებოდეს.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ მორისს მხოლოდ სასიძღერო და სალაღობო პოეტად წარმოვიდგენთ. მას აქვს სულის შემძვრელი ეკ, როგორც ტიციანი იტყოდა, ისეთი მეწყვერიანი ლექსები, „რომ წაგიღებს და ცოცხლად დაგმარხავს“.



ᲒᲔᲑᲘᲠᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ — ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ სოფელ კირხათის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან ერთად მოაწყო ზეპირი ჟურნალი — კოლმეურნეებისათვის და სოფლის ინტელიგენციისათვის თემაზე „თანამედროვე ideოლოგიური ბრძოლის ხერხები“, „მედიცინა და რელიგია“, „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“ და სხვ.

ზეპირი ჟურნალის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ახვლედიანი, შეადეგინის მეცნიერებათა კანდიდატი რ. სურმანიძე, პარტიის საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ა. მიქელტაძე.

ᲒᲐᲖᲗᲗᲛᲐ „კრასნაია ზვეზდამ“ თავისი მკითხველებისაგან უამრავი წერილი მიიღო მსოფლიოს ჩემპიონ კარპოვის სახელზე. მკითხველებს საჭადრაკო ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური საკითხი აინტერესებდათ. რედაქციამ კარპოვს გააცნო ეს წერილები და მალე მსოფლიოს ჩემპიონმაც უპასუხა მკითხველებს. ყურადღების ცენტრში იყო პრეტენდენტთა მომავალი მეოთხედფინალური ასპარეზობები, რომლებიც თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში იწყება.

კარპოვის აზრით, პრეტენდენტთა მომავალ ბრძოლაში ერთ-ერთ ძირითად ფაქორტად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოს ექსჩემპიონ ბორის სპასკი, რომელმაც ორჯერ, 1965 და 1968 წლებში გაიმარჯვა კიდეც ასეთი დონის შეჯიბრებებში. კარპოვმა განაცხადა, რომ ამ ბოლო ხანებში სპასკი მუშაობდა წიგნზე, რომელსაც თავისებური სათაური აქვს — „ჩემი წაგებები“, სადაც დაწვრილებით გაარჩია თავისათვის წარუმატებელი ორი მატჩი — ფიშერთან და კარპოვთან. მსოფლიოს ჩემპიონის აზრით, ასეთ წიგნზე მუშაობა ვარჯიშის საინტერესო გზაა.

პრეტენდენტთა მომავალი ასპარეზობის ერთ-ერთ საინტერესო მონაწილედ კარპოვი მიიჩნევს ახალგაზრდა ბრაზილიელ მეკინგს, რომლის მატჩი პოლუგაევსკისთან მეტად მძაფრი უნდა გამოდგეს. მსოფლიოს ჩემპიონმა თქვა, რომ ოთხი მატჩიდან ყველაზე მეტად სწორედ ეს ორთაბრძოლა აინტერესებს.

დეკემბერში თბილისში მყოფმა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ დიდოსტატმა ავერბახმა განაცხადა, რომ პრეტენდენტთა ამ ციკლში ძალიან გაუქირდებათ ხანდაზმულ მონაწილეებს. თვით ავერბახი, კარპოვის მსგავსად ფიქრობს, რომ ამჯერად ჩინეთელი პერსპექტივები ექნება მეკინგს.

რა ვიცით დღეისათვის პრეტენდენტთა მზადების შესახებ?

პოლუგაევსკი, რომელმაც სათანადო სათამაშო პრაქტიკა მიიღო საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ჩემპიონატში, მატჩისათვის ემზადება თავის მეოდმივ მწვრთნელთან საერთაშორისო ოსტატ ბაგიროვთან ერთად.

საყურადღებოა, რომ მეკინგი როგორც მას სჩვევია კიდეც, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში (ბახილის შემდეგ!) არსად გამოსულა. მეკინგი წლის განმავლობაში თამაშობს გაცილებით უფრო ნაკლებს, ვიდრე ეს რეკომენდებულია ექსპერტების მიერ (ისიხი 60-70 პარტიის თამაშს ურჩევენ დიდოსტატებს), მაგრამ ყოველთვის უაღრესად მომზადებული ებმება შეჯიბრებაში.

მეკინგი 8 თებერვალს ჩამოვიდა ევროპაში. გამოცხადდა, რომ მისი მწვრთნელი იქნება ახალგაზრდა იტალიელი დიდოსტატი მარიოტი. ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკის“ ცნობით, მარიოტისთან ერთად მეკინგს ახლავს პირადი მეგობარი, მედიცინის პროფესორი ტავარეს და სილვა და კიდევ რამდენიმე ბრაზილიელი. თვით მეკინგს წინათაც უთქვამს, რომ სწორედ იგი მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლებას.

თქმა არ უნდა, ბრაზილიელმა საგულდაგულოდ შეისწავლა პოლუგაევსკის შემოქმედება. მას პოლუგაევსკი თავის „ძველ მეტოქედ“ მიაჩნია, თუმცა საერთოდ, როგორც ეთქვთ, ფრიად ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ჯერ კიდევ იანვარში ევროპას ეწვია არგენტინელი დიდოსტატი, 63 წლის ელისკაზენი. შესაძლოა, ესეც მეკინგ-პოლუგაევსკის მატჩთან არის დაკავშირებული, რადგან ელისკაზენი კარგა ხნის განმავლობაში წვრთნიდა ბრაზილიელ დიდოსტატს.

ერთი სიტყვით, მეკინგი და პოლუგაევსკი 27 თებერვლიდან მიუსხდებიან საჭადრაკო დაფას ლიუციერნში (შვეიცარია).

ამავე დღეს რეიკიავიკში (ისლანდია) იწყება მსოფლიოს ექსჩემპიონ სპასკისა და დიდოსტატ პორტის შეხვედრა.

სპასკმ ამ დღეებში ქ. ზოლინგენში (გფრ) საწვრთნელი მატჩი ითამაშა დიდოსტატ კავალეკთან (აშშ). აგრესიული სტილის, დიდად ერუდირებული დიდოსტატი კავალეკი ადრე ლარსენისა და ფიშერის „სპარიოტ-პარტნიორი“ იყო. სპასკმ მოიგო ეს მატჩი ანგარიშით 4:2. რაც შეეხება პორტს, იგი საზონათაშორისო ტურნირის შემდეგ ბევრს თამაშობდა და სპეციალური საწვრთნელი მატჩის გამართვა არც კი გამხდარა საჭირო.

პორტი მიეკუთვნება იმ ძალზე მცირერიცხოვან დიდოსტატთა რიცხვს, რომლებიც წლების განმავლობაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიან და ერიცხე შეჯიბრებაში მონაწილეობენ. ასეთ შემთხვევაში თითქოს არსებობს „ჭადრაკით მოყვარეების“ საფრთხე, მაგრამ ეს პორტს არ ეხება. იგი ყველა შეჯიბრებაში, როგორც წესი, ერთ-ერთ მაღალ საპრიზო ადგილს ეუფლება.

თუ სპასკის არა აქვს უკანასკნელ წლებში პორტის მსგავსი სატურნირო შედეგები, ის მაინც უხდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ადრე უამრავი მატჩი ითამაშა მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან და თვალსაჩინო წარმატებითაც. პორტი კი, ეს ტიპიური სატურნირო მებრძოლი, დიდ სამატჩო გამოცდილებას ვერ დაიკვეხნის. ეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი „კოზირი“ გამოდგეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ, რომელსაც მატჩებში, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დამარცხებული ჰყავს პეტროსიანი, ტალი, ლარსენი, გულერი (ორჯერ). ყოველივე ეს ლოგაევსკი თავის „ძველ მეტოქედ“ მიაჩნია, თუმცა საერთოდ, როგორც ეთქვთ, ფრიად ოპტიმისტურად არის განწყობილი.

ᲛᲐᲣ ᲐᲡᲔᲘᲜᲬᲧᲔᲑᲐ!..

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲒᲣᲠᲓᲐᲒᲣᲚᲝ ᲛᲐᲖᲐᲓᲔᲑᲐ

კავალეკი ადრე ლარსენისა და ფიშერის „სპარიოტ-პარტნიორი“ იყო. სპასკმ მოიგო ეს მატჩი ანგარიშით 4:2. რაც შეეხება პორტს, იგი საზონათაშორისო ტურნირის შემდეგ ბევრს თამაშობდა და სპეციალური საწვრთნელი მატჩის გამართვა არც კი გამხდარა საჭირო.

პორტი მიეკუთვნება იმ ძალზე მცირერიცხოვან დიდოსტატთა რიცხვს, რომლებიც წლების განმავლობაში ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიან და ერიცხე შეჯიბრებაში მონაწილეობენ. ასეთ შემთხვევაში თითქოს არსებობს „ჭადრაკით მოყვარეების“ საფრთხე, მაგრამ ეს პორტს არ ეხება. იგი ყველა შეჯიბრებაში, როგორც წესი, ერთ-ერთ მაღალ საპრიზო ადგილს ეუფლება.

თუ სპასკის არა აქვს უკანასკნელ წლებში პორტის მსგავსი სატურნირო შედეგები, ის მაინც უხდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ადრე უამრავი მატჩი ითამაშა მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან და თვალსაჩინო წარმატებითაც. პორტი კი, ეს ტიპიური სატურნირო მებრძოლი, დიდ სამატჩო გამოცდილებას ვერ დაიკვეხნის. ეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი „კოზირი“ გამოდგეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ, რომელსაც მატჩებში, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დამარცხებული ჰყავს პეტროსიანი, ტალი, ლარსენი, გულერი (ორჯერ). ყოველივე ეს

ᲞᲝᲠᲢᲝᲡ ᲛᲔᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ.

სპასკმ ამ დღეებში ქ. ზოლინგენში (გფრ) საწვრთნელი მატჩი ითამაშა დიდოსტატ კავალეკთან (აშშ). აგრესიული სტილის, დიდად ერუდირებული დიდოსტატი კარგად არის ცნობილი პორტისა და მისი მწვრთნელებისათვის, როლებადაც მაინც არ კარგავენ ოპტიმისტურ განწყობილებას. ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ხოვოსტის“ კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში იეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა განაცხადა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს.

27 თებერვალს როტერდამში იხსნება ძველი მეტოქეების ლარსენის (დანია) და პორტიშის (უნგრეთი) მატჩი.

1968 წელს ისინი ერთმანეთს უკვე შეხვდნენ პრეტენდენტთა ბრძოლის ასეთივე, მეოთხედფინალურ ეტაპზე. ვის იფიქრებდა, რომ 9 წლის შემდეგ მათ ისევ მოუწევდათ ერთმანეთთან შეხვედრა. მაშინ ანგარიშით 5,5:4,5 გაიმარჯვა ლარსენმა, ახლა კი, როგორც დიდოსტატი სუეტონი ფიქრობს, სხვა სიტუაციაა და ერთგვარი უპირატესობა უნგრელს უნდა მიეცეს.

ლარსენმა ზაფხულში საზონათაშორისო ტურნირის მოგების შემდეგ ითამაშა მხოლოდ ერთხელ — კოსტა ბრავაში (სპანეთი) და აქაც პირველ ადგილზე გამოვიდა. რაც შეეხება პორტიშს, მას ჭოუხდა პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურისათვის დამატებითი ბრძოლა და, როგორც ცნობილია, ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა.

ოქტომბრის შემდეგ ორივე დიდოსტატს ორსად უთამაშია. პორტში მატჩების წინ პრინციპულად ეარს აცხადებს ყოველგვარ ინტერვიუზე, ლარსენი კი, პირიქით, ათასობდეს ყოფილა კორესპონდენტებთან შეხვედრის წინააღმდეგი. მართალია, იყო დრო (1971-75 წლები), როდესაც დანიელი დიდოსტატი ჟურნალისტებთან საუბარში ფრთხილობდა, რადგან კარგად ახსოვდა, როგორი ინგარიშით წააგო ფიშერთან. ახლა იგი ძალიან გაახალისა შარშან მოპოვებულმა დიდმა წარმატებებმა და პირიქიით აცსადეს, რომ მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონის სახელი და გვარი გახლ